ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N37

ქ.თბილისი 20 თებერვალი, 2024 წელი
14[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე
თორნიკე ბიკაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე
საბა ბუაძე
ანა გოგოლაძე
არჩილ გორდულაძე
ოთარ გრიგოლია
შოთა გრიგოლია
მამუკა გუგეშაშვილი
ლევან დავითაშვილი
ირაკლი ემგვერაძე
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ზაზა თავაძე
ანა კაკაბაძე
მიხეილ კაკაურიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ნინო კვიტაიშვილი
სალომე კობალაძე
ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი
ნათია მოდებაძე
ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე
გიორგი ონიანი
გურამ ოქროპირიძე
ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე
ვახტანგ სურგულაძე
დავით ფარცვანია
გიორგი შარაშიძე
ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ნინო წულაძე
ირაკლი ხელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ვახტანგ ლომჯარია;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან კანდელაკიშვილი;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძე;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ნინო ბაგაშვილი, ოთარ ჩიტიძე, დავით ჯაიანი;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი გიორგი ხვედელიძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ, ბაღდათში ჩამოწოლილმა მეწყერმა იმსხვერპლა ერთი ოჯახი და მიმართა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ გარდაცვლილების ხსოვნისთვის, რის შემდეგაც სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით, პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის, თბილისის ბიუჯეტი, რომელიც არის უპრეცედენტოდ გაზრდილი, რის შედეგადაც თანხა 2000000000 ლარზე მეტია, რაც, რა თქმა უნდა, გვაძლევს შესაძლებლობას, განვახორციელოთ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელოვანი პროექტი, თუმცა, სამწუხაროდ, ბიუჯეტის ზრდა ოპონენტებისთვის აღმოჩნდა მიუღებელი და დაუკავშირეს წინასაარჩევნო ღონისძიებებს. მისი თქმით, ბიუჯეტი მორგებულია თბილისელების საჭიროებებზე და საკრებულოს უმრავლესობა მხარს დაუჭერს, ოპოზიციონერი კოლეგებისგან განსხვავებით, რომლებიც უკვე წლებია ბოიკოტს უცხადებენ ჩვენს თანამოქალაქეებს. აქვე აღნიშნა, რომ ასევე, მნიშვნელოვანია მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის არჩევის საკითხი, სადაც წარმოდგენილია გიორგი ხვედელიძის კანდიდატურა, რომელიც ძალიან გამოცდილია თავის მიმართულებაში - გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში იკავებს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, გიორგი ხვედელიძის საქმიანობა ახალ თანამდებობაზე ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც იყო წლების განმავლობაში სხვადასხვა პოზიციებზე. საუბრის ბოლოს, მადლობა გადაუხადა ბადრი გიორგიძეს, რომელიც, მისი თქმით, წლების განმავლობაში ძალიან წარმატებულად მუშაობდა ამ თანამდებობაზე, აღნიშნა, რომ იგი საქმიანობას განაგრძობს „თბილსერვის ჯგუფში“ და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე, როგორც ფინანსური, ასევე, ქონების მიმართულებით, წარმოდგენილია ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები და აღნიშნა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი იზრდება 241000000 ლარით, რაც უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელია, რადგან ამ პერიოდისთვის, ასეთი მოცულობის ბიუჯეტი დედაქალაქს არასდროს ჰქონია, თუმცა, ამ უპრეცედენტო მიღწევების და შედეგების მიუხედავად, ოპოზიციის მხრიდან ისმის ბრალდებები, რომ თითქოს ბიუჯეტი მორგებულია „ქართული ოცნების“ პარტიულ ინტერესებს. აქედან გამომდინარე, სურს საზოგადოებისთვის გააკეთოს განმარტებები და თქვას: „დიახ, სწორედ „ქართული ოცნების“ პარტიული ინტერესია, რომ ყოველწლიურად უპრეცედენტოდ იზრდებოდეს ქალაქის ბიუჯეტი; რომ ეს გაზრდილი ფინანსური სახსრები გვაძლევდეს უამრავი, უმნიშვნელოვანესი პროექტის და პროგრამის განხორციელების საშუალებას; რომ თბილისს გააჩნდეს განახლებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი და მოდერნიზებული მოძრავი შემადგენლობები, რათა გადაადგილება იყოს უსაფრთხო, სწრაფი და კომფორტული; რომ ყოველწლიურად თბილისში ეკოლოგიური მდგომარეობა უმჯობესდებოდეს, ხორციელდებოდეს პარკების, სკვერების მშენებლობა და ძველების რეაბილიტაცია, ხორციელდებოდეს დამატებითი დენდროლოგიური ღონისძიებები; რომ ყოველწლიურად იწყებოდეს ახალი საბავშვო ბაღების, ახალი მულტიფუნქციური კომპლექსების მშენებლობა და დიახ, სწორედ „ქართული ოცნების“ ინტერესია, რომ ხვალინდელი თბილისი იყოს უკეთესი“. ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები ყველანაირ პოზიტივში ხედავენ ნეგატივს, ცდილობენ საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში და ამით მოახერხონ თანამოაზრეების გაჩენა, თუმცა, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი პარტიული ინტერესი არის ის, რომ სწორი პოლიტიკით, უწყვეტი განვითარებით, მშვიდობით და სტაბილურობის განცდით განაგრძოს ამ ქვეყნის შენება და თბილისი გახადოს ევროპული ქალაქი, რასაც აუცილებლად მიაღწევს. საუბრის ბოლოს,

განაცხადა, რომ ოპოზიციის აღშფოთების მიზეზი არის ის, რომ ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები და ამ ადამიანებს, სხვა არაფერი დარჩათ გარდა იმისა, რომ მხოლოდ ამ გზებით ეცადონ რამენაირად შექმნან ქაოსი, თუმცა, დარწმუნებულია, რომ საზოგადოება გააკეთებს სწორ არჩევანს და „ქართული ოცნება“ გააგრძელებს ამ ქვეყნის განვითარებისთვის შრომას და მუშაობას.

მიხეილ კაკაურიძემ ისაუბრა დედაქალაქში მშენებლობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ ერთ-ერთ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6, მერიის შესაბამისი სამსახურები ამტკიცებენ, რომ მშენებლობა შეუძლებელია ერთგვაროვანი განაშენიანებიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც კორპუსები შენდება ისეთ ადგილებში, სადაც მართლაც დაუშვებელია ნებისმიერი სახის მშენებლობა. ამის დასტურად, მიხეილ კაკაურიძემ სხდომაზე წარადგინა ფოტომასალა, თუ როგორ აშენებენ კორპუსებს სოფლებში, როგორ შენდება 14 სართულიანი კორპუსი ერთგვაროვან განაშენიანებაში, როგორ შენდება და აშენდა კორპუსი სკვერში და როგორ შენდება კორპუსები მდინარეზე - იქ სადაც გენ.გეგმით დატანილია შეზღუდვის არეალი. კერძოდ, ხევძმარზე უკვე აშენებულია არაერთი კორპუსი, მათ შორის, მარატ ნოზაძის ქუჩაზე ერთი თვეა მიმდინარეობს მიწის სამუშაოები, თუმცა, დღემდე ვერ ამოტუმბეს წყალი და მდინარე, რომელიც უერთდება მიწის ნაკვეთს, არხით გადაუშვეს სავალ გზაზე, რის შედეგადაც მივიღეთ ისეთი სურათი, რომ ტერიტორია ივსება ბალასტით, მაგრამ, მაინც გადაწყვეტილია მშენებლობის გაგრძელება. აქედან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „მითხარით, რა საშიშროება მოელის ამ კონკრეტულ კორპუსებს და აქ მაცხოვრებლებს?.. როდემდე გაგრძელდება ეს განუკითხაობა და ქაოსი?“ მიხეილ კაკაურიძემ ასევე, ისაუბრა ვარკეთილში, ერთ-ერთ ტერიტორიაზე, რომელსაც „ვარკეთილის დასალიერი“ უწოდა, არსებულ მდგომარეობაზე, სადაც, კერძო მესაკუთრეებს მერია უკრძალავს მშენებლობას იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც 2017-18 წლებში შეიძინეს სამშენებლო ზონით და 2019 წელს გენ.გეგმით დაედო რეკრეაციული ზონა. მერიის შესაბამისი სამსახური ნებართვის არმიცემის მიზეზად ასახელებს იმას, რომ გადატვირთულია სატრანსპორტო ქსელი და აღნიშნული ტერიტორია იმდენად მნიშვნელოვანია ქალაქისთვის, რომ კერძო მესაკუთრეებს ვერ მიეცემათ საცხოვრებელი ზონით განვითარების უფლება, თუმცა, ამავდროულად, ამავე ტერიტორიაზე არსებულ 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, რომელიც მდებარეობს კიდევ უფრო მეტად რეკრეაციულ ზონაში, შეეცვალა სტატუსი და ვითარდება საცხოვრებელი ზონა 6-ით, რაც პირდაპირი მტკიცებულებაა იმისი, თუ რა მიკერძოებული, დისკრიმინაციული და ორმაგი სტანდარტებით სარგებლობს მერია და მისი სამსახურები.

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები საუბრობენ მთელი ოპოზიციის სახელით ისე, რომ არ იციან კონკრეტული ადამიანების აზრი და აღნიშნა, რომ კარგია რაც უფრო მეტად გაიზრდება ბიუჯეტი და არ აქვს მნიშვნელობა ვისი ხელისუფლების პირობებში მოხდება ეს, უბრალოდ, საუბარია იმაზე, თუ როგორ ხარჯავს ბიუჯეტს დღევანდელი ხელისუფლება და როგორი ხედვა აქვს ოპოზიციას, რაც ძალიან მარტივი გასაგებია მოსახლეობისთვისაც. ამ ეტაპზე თბილისის ბიუჯეტი არის 2100000000 ლარი და თუ თბილისის მოსახლეობა თვლის, რომ ეს ბიუჯეტი მასთან მიდის, სწორად იმართება და გვარდება ყველა ის პრობლემა, რაც მას აქვს, რა თქმა უნდა, ამაზე ექნება შესაბამისი რეაგირება, ხოლო ოპოზიციას აქვს თავისი ინიციატივები, რომლებსაც უმრავლესობა არ ითვალისწინებს და თუ საზოგადოება ჩათვლის, რომ მათი ინიციატივები უფრო მნიშვნელოვანია, მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, სადავო არაფერია, მთავარია ბიუჯეტი იზრდებოდეს და იყოს ხელისუფლება, რომელიც ეფექტურად დახარჯავს გაზრდილ ბიუჯეტს. გიორგი ონიანმა ისაუბრა უკრაინაში გარდაცვლილი ქართველი მებრძოლების სახელობის სკვერის და მემორიალის გახსნაზე, რაზეც მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მერმა გამოთქვა მზადყოფნა, საკრებულოს უმრავლესობა მაინც არ მსჯელობს და მიმართა მას: „მინდა ეს საკითხი დავაყენო, რათა დავიწყოთ სკვერისთვის ადგილის მოძიება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც, სულ ახლახანს, უკრაინამ კიდევ ერთხელ გამოხატა პატივისცემა ჩვენი ქვეყნის მიმართ და ჩვენი დამსახურებული მოქალაქის ბუბა კიკაბიძის სახელი დაარქვა ერთ-ერთ ქუჩას

კიევში. ძალიან გთხოვთ, დავფიქრდეთ ამაზე, მიიღეთ ეს, როგორც ინიციატივა და რაც შეიძლება დროულად დავიწყოთ ჩვენი გმირების დაფასება“.

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაყოფილია სამ ნაწილად და მათი გეგმაა, რომ 2024 წლის არჩევნებზე საზოგადოება კიდევ ერთხელ შეიყვანონ შეცდომაში და დაარწმუნონ, რომ თითქოს, ვინმე ახალი სახეა და აღარანაირი პასუხისმგებლობა აღარ აქვთ წარსულზე. თუმცა, უმჯობესი იქნება, საზოგადოებას უთხრან, რა ხდება მათ პარტიაში, იმსახურებდნენ თუ არა იმ მხარდაჭერას, რომელიც მიიღეს 2021 წელს, აპირებენ თუ არა მხარი დაუჭირონ ბიუჯეტის დღეს წარმოდგენილ პროექტს და თუ დაუჭერენ, რომელი გუნდის სახელით გააკეთებენ ამას. ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა, რომ ისტორიული ბიუჯეტი - ორ მილიარდზე მეტი, ამ ქალაქს არასოდეს ჰქონია და თბილისელებმა ძალიან კარგად იციან ეს ბიუჯეტი მათთვის იხარჯება თუ სხვისთვის, ძალიან კარგად ხედავენ როგორ ქალაქში ცხოვრობენ და რა პრობლემები მოუგვარა დედაქალაქის მერიამ.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ ქალაქში დღემდე გადაუჭრელია კონკრეტული მუნიციპალური საკითხები და მიუხედავად იმისა, რომ მმართველი გუნდი თავს იწონებს ბიუჯეტის მატებით და ვითომ ხალხის პრობლემების მოგვარებისკენ მიმართვით, დღემდე ძალიან ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი, განსაკუთრებით უსაფრთხოების კუთხით. მაშინ, როდესაც ბიუჯეტში დარჩა აუთვისებელი თანხები, ჭონქაძის ქუჩაზე ადამიანებს ნახევრად გაბზარულ სახლებში უწევთ ცხოვრება და დღე-დღეზე ელოდებიან, როდის ჩამოენგრევათ ჭერი, მაგრამ არავინ არის მათთვის პასუხისგამცემი იმაზე, ეშველებათ თუ არა რამე, თუნდაც ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამით. მაშინ, როდესაც წინა წლის თანხები აუთვისებელია, ორი დღის წინ ივერთუბანში, რამდენიმე კონკრეტული ქუჩა ჩაფლული იყო ტალახში, რადგან არც მიწისქვეშა და არც მიწისზედა კომუნიკაციები გამართული არ არის. ძალიან ბევრი პრობლემური საკითხია, განსაკუთრებით „მშიერი ბავშვების“ პრობლემა და ალბათ ყველასთვის ნაცნობია ის სიტუაცია, რომ სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვს ყურადღება გაუმახვილებია იმაზე, რომ სცხვენია სკოლაში „ლანჩის“ ჭამა, რადგან ოცდაათი მშიერი ბავშვი უყურებს და ეს ხდება მაშინ, როდესაც საკრებულოს შეეძლო გეთვალისწინებინა მისი ინიციატივა და წალენჯიხის შემდეგ, თბილისშიც შეექმნა უფასო სასკოლო კვების პროცესში მუნიციპალიტეტის ჩართულობის პრეცედენტი და განათლების სამინისტროსთან ერთად, შეექმნა თუნდაც ერთი მოდალური პროექტი. ნინო წულაძემ განაცხადა, რომ თითქმის ყველა სხდომას იწყებს პარტიის „ხალხისთვის“ მიერ წარდგენილი უპასუხოდ დატოვებულ ინიციატივებზე საუბრით და აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ განუხილველია მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებით წარდგენილი ინიციატივა მაშინ, როდესაც მოსახლეობის მიერ განხორციელებული სატელეფონო კონსულტაციების ათიდან შვიდი შემთხვევა უკავშირდება სწორედ ქუჩის ძაღლებთან დაკავშირებულ ძალიან რთულ პრობლემებს. მისი თქმით, არ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ამ საკითხზე მუშაობს პარლამენტი, რადგან შესაძლებელი იყო, წესი შემუშავებულიყო ლოკალურად, თბილისის დონეზე და ასევე, ბიუჯეტით აუთვისებელი თანხები გადანაწილებულიყო თავშესაფრისთვის, რათა ამ უკანასკნელმა ფუნქციონირება განაგრძოს შედარებით მაღალი სტანდარტით და უფრო სწრაფად მოხდეს მიუსაფარი ცხოველების სტერილიზაცია. მისი თქმით, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ თბილისის მერიის სამსახურები ვერ ალაგებენ პრიორიტეტებს, რადგან არ იციან რა სჭირდება ხალხს, ასევე, ვერ ან არ იაზრებენ სოციალურ და ეკონომიკურ სიდუხჭირეს, რადგან ხალხი არაუსაფრთხოდ და მშიერი დადის იმ ქალაქში, რომელიც უსაფრთხოების ვერანაირ სტანდარტს ვერ ქმნის ვერცერთი მიმართულებით და განაცხადა, რომ ყველა ზემოთ ხსენებულ საკითხზე და არა მარტო, საკრებულოში წარმოდგენილი აქვს ინიციატივა, თუმცა, ყველა მათგანი დატოვებულია უპასუხოდ, რადგან, სამწუხაროდ, უმრავლესობის წევრების მხრიდან არის „აგდებული პოლიტიკა“, რომ თურმე, ოპოზიციის მიერ დაინიცირებული არანაირი ინიციატივის განხილვა არ შეიძლება, რაც გამოწვეულია იმით, რომ პასუხი არ აქვთ ან ამ თანხების სხვანაირი გამოყენების მომხრეები არიან, მათ შორის, წინასაარჩევნოდ გამოყენების, რათა მეტი კეთილდღეობა შეუქმნან პარტიულ წარმომადგენლებს და არა ზოგადად, თბილისელებს.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ დილიდან ისმენს „ქართული ოცნების“ დემაგოგიას, თითქოს ისე ჰყვავის ამ ქალაქში და ქვეყანაში ეკონომიკა, რომ ან ბავშვები არ შიმშილობენ, ან პენსიონერებს არ ჰქონდეთ საპენსიო სესხები; თითქოს ეს ის ქალაქი და ქვეყანა არ არის, საიდანაც 800000 მოქალაქე წავიდა უცხოეთში სამუშაოს საძებნელად; თითქოს ეს ის ქალაქი არ არის, სადაც ხელისუფლებამ ვერ გადაწყვიტა საცობების პრობლემა და თბილისელები საათობით დგანან საცობებში; თითქოს ეს ის ქალაქი არ იყოს, სადაც ხელისუფლებამ ვერ გადაწყვიტა საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ავარიული კორპუსების, დასუფთავების და გამწვანების მიმართულებით არსებული პრობლემები; თითქოს ეს ის ქალაქი არ იყოს, სადაც ადამიანები უფასო სასადილოების რიგში არ დგანან, რომ 1.70 ლარად გამოიკვებონ ან ის ქალაქი არ იყოს, სადაც ხელისუფლებამ შარშან უამრავ ადამიანს უთხრა უარი მედიკამენტების ან ოპერაციების დაფინანსებაზე. აქვე განაცხადა, რომ ხელისუფლებამ შარშან ვერ აითვისა 200000000 ლარი, რომელიც გადმოიტანა 2024 წლის ბიუჯეტში და ამის ერთადერთი მიზანი იყო ის, რომ ეს თანხები გამოიყენოს საარჩევნოდ, როგორც ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსი. ირაკლი ნადირაძის თქმით, ეს არ არის რეალური ზრდა, რადგან ბიუჯეტის ზრდა არ არის ის, რომ იმ თანხას, რომელსიც ვერ დახარჯე წელს, მექანიკურად დაუმატებ მომდევნო წლის ბიუჯეტს - ეს არის ციფრებით „ჟონგლიორობა“, რომელსაც ხელისუფლება იყენებს „უცნაური პიარისთვის“. უმრავლესობის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ბიუჯეტზე, თუმცა, არაფერი თქვეს იმაზე, რომ ისედაც გაბერილ ბიუროკრატიაში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში ამატებენ ას ადამიანს, რომლებზეც დამატებით 2.5 მილიონი ლარი უნდა დაიხარჯოს და ჯამში მერიაში, შრომის ანაზღაურება უნდა გახდეს 130000000 ლარი, რაც კატასტროფულად წარმოუდგენელია ისეთ ქალაქში, სადაც უამრავი ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემაა. უმრავლესობის წარმომადგენლები ასევე, არაფერს ამბობენ იმაზე, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში 10000000 ლარით იზრდება ჯარიმები და „ქართული ოცნება“ აპირებს, რომ გაძვირებული ცხოვრების ფონზე, მოსახლეობისგან დამატებით ამოიღოს 110000000 ლარი. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებას“ უნდა, რომ ჩვენი მოსახლეობა კიდევ უფრო გაღარიბდეს და თბილისელების ფული გამოიყენოს არა მათი უამრავი პრობლების მოგვარებაში, არამედ ჰქონდეს დამატებითი რესურსი, რომ იქნებ ფულით მაინც გააკეთოს რაიმე 2024 წლის არჩევნებზე - ეს არის ის სიმართლე, რომელზე საუბარიც ხელისუფლებას არ უნდა და ძალიან მალე, ყველა შეუსრულებელი დაპირების გამო, ხელისუფლებაში იქნება არა „ქართული ოცნება“, არამედ, კოალიციური ოპოზიცია.

ოთარ გრიგოლიამ ირაკლი ნადირაძის გამოსვლას „ემოციური“ უწოდა და მიმართა მას: „მინდა გითხრათ და გთხოვოთ კიდევ ერთხელ, ნუ ავრცელებთ ტყუილს. ტყულია, რომ 240000000 ლარი არის აუთვისებელი თანხა, ეს არის წინა წლის ბიუჯეტის შემოსულობების ზრდის ხარჯზე მომატებული თანხები და ამასთანავე, ყოველწლიური ეკონომიები, რაც არის ჩვეულებრივი საბიუჯეტო პროცესი და ყოველწლიურად ხდება... თქვენ არ მოგწონთ ის პრიორიტეტები, რომელიც ამ თანხის გახარჯვას ეხება. რომელი ნაწილი არ მოგწონთ - ავტობუსების შეძენა, ვერის პარკის მშენებლობა, ვაკის პარკის მშენებლობა, გლდანის ტბის რეაბილიტაცია თუ ხუთი მილიონი ლარის მატება სოციალური მიმართულებით? რომელია თქვენთვის მიუღებელი? თქვენ დროს, სოციალური ბიუჯეტი ჯამში იყო ყველაზე მაქსიმუმ სამოცი მილიონი ლარი, დღეს ბიუჯეტის 30% სოციალური მიმართულებებით იხარჯება. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერთი ავტობუსი არ გიყიდიათ წლების განმავლობაში, ჩვენ, ქალაქის მერის და მერიის აქტიური მუშაობით, ერთობლივი ძალისხმევით მოვახერხეთ და სრულად ჩავანაცვლეთ ავტოპარკი ახალი, თანამდროვე ავტობუსებით და მეტიც, დამატებით 200 ახალი ავტობუსი ეყოლება ქალაქს. ეს არის რეალობა და განსხვავება ჩვენს და თქვენს შორის, ჩვენი ქალაქის სიყვარულს და თქვენი ქალაქის სიყვარულს შორის. თქვენ არ გიხარიათ ის სიკეთეები, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. თქვენ გიხარიათ ის, რაც ამ ქალაქს და ქვეყანას დააზიანებს, იმიტომ კი არა, რომ ზოგადად, შეიძლება ქვეყანა არ გიყვარდეთ, იმიტომ რომ თქვენ არ გსურთ „ქართული ოცნება“ იყოს ხელისუფლებაში და ნებისმიერი სიკეთე, რომელიც კეთდება, თქვენთვის არის მიუღებელი. სამწუხაროდ, ეს გადაგეზარდათ უკვე ქვეყნის სიძულვილში. მე მოგიწოდებთ ყველას, რომ არ შეიძლება ესე მეგობრებო... თქვენი მთავარი პრობლემა ის

გახლავთ, რომ გაქვთ ნეგატიური დღის წესრიგი, არ სჯერა მოსახლეობას, რომ თქვენ ეს ქვეყანა გიყვართ, და სამწუხაროდ, ეს ყოველდღიურად ვლინდება თქვენს განცხადებებში, თქვენს პოლიტიკურ დღის წესრიგში. ჩვენ ხვალ, ზეგ და მთელი წლის განმავლობაში, გავაგრძელებთ საქმეების კეთებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ტრანსპორტის განვითარებას და თქვენ, სამწუხაროდ, დარჩებით იმ სამ ნაწილად, რომლადაც დაიშალეთ რამდენიმე თვეა".

ცოტნე კობერიძემ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ვერ ვუძლებ მოვუსმინო ხოლმე არფრისმთქმელ სიტყვებს და „უპრეცედენტოდ გაზრდილი ბიუჯეტი" თუ „დიდი ბიუჯეტი" და „ისტორიული" არაფრისმთქმელია. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ „ისტორიულად ყველაზე დიდი ვარ - ოცდაექვსი წლის და რვა თვის ცხოვრებაში არ ვყოფილვარ". ყოფილა ხელისუფლება, რომელსაც ისტორიულად ყველაზე დიდი ბიუჯეტი არ ჰქონია? ესეთი პრეცედენტი არსებობს? ერთი ლარითაც რომ გაიზარდოს წელს ბიუჯეტი, შემდეგ წელს იქნება „ისტორიულად ყველაზე დიდი ბიუჯეტი." ეს ფრაზა ამოიღეთ მაინც, სასაცილოა და არაფრისმთქმელი". ცოტნე კობერიძემ გაიხსენა ირაკლი ჩიქოვანის მიერ 2016 წელს ნათქვამი სიტყვები: „დღეს შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ „ქართული ოცნება" იწყებს ზუგდიდში ზუგდიდელებისთვის არჩევნებისა და არჩევანის მოპარვას". აღნიშნა, რომ ამ სიტყვების ავტორი დღეს თავდაცვის მინისტრად დანიშნეს და დასვა რიტორიკული კითხვა - რატომ უნდებათ ადამიანებს იმ ხელისუფლების მინისტრობა, რომელზეც ფიქრობენ რომ არჩევნებს აყალბებს და რატომ უნდებათ გამყალბებლებთან მინისტრობა? რომელსაც თავადვე უპასუხა - თანამდებობის სიყვარული ხომ არა? მისი თქმით, ასევე, საინტერესოა, ხელისუფლება რატომ ნიშნავს მინისტრად და რატომ აწინაურებს ასეთ ადამიანს. ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ 2016 წელს, ირაკლი ჩიქოვანი იმიტომ ლანძღავდა „ქართულ ოცნებას" და გამყალბებლებს იმიტომ ეშახდა, რომ მისი პარტიის წევრები დაიჭირეს და პირადი ცხოვრების კადრები გაუვრცელეს, თუმცა, ეს ყველაფერი დაივიწყა და აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რატომ ვაბარებთ ქვეყნის თავდაცვას ისეთ კაცს, რომელმაც საკუთარი პარტია და მეგობრები არ დაიცვა. მისი თქმით, ის, რომ ასეთი ადამიანი დღეს თავდაცვის მინისტრია ნიშნავს იმას, რომ დღეს შეიძლება არ მოგწონდეს „ქართული ოცნება", თუმცა, როდესაც თანამდებობას შემოგთავაზებენ დაიწყებ მის ქებას და სწორედ იმიტომ, რომ ქვეყანაში ასეთი ტიპის მერიტოკრატიაა, წელს საქართველოს მოსახლეობას არჩევანის გაკეთება მოუწევს ზუსტად ასეთ „ქართულ ოცნებასა" და ნორმალურ ხალხს შორის. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ მიმართა უმრავლესობის წევრებს: „ასეთი ადამიანები ერთგულები არ დარჩებიან, როდესაც წააგებთ, დაგტოვებენ იმიტომ, რომ მარტო თანამდებობის და ფულის გამო უყვართ საკუთარი პარტია და ამის სახე და მაგალითი გყავთ დღევანდელი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ჩიქოვანი".

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლების თქმით, მერია ბიუჯეტს ვერ ითვისებს სპეციალურად იმიტომ, რომ მერე ეს თანხა დახარჯოს არჩევნებში, რასაც „მთავარი ტყუილი" უწოდა და განმარტა, რომ 200000000 ლარიდან 85000000 ლარი არის გაზრდილი შემოსავლები ანუ ქალაქმა მიიღო დაგეგმილზე მეტი შემოსავალი. აქედან გამომდინარე, აუთვისებელი თანხა გამოდის 5%-ზე ნაკლები და როდესაც 1800000000 ლარზე მეტი ბიუჯეტის პირობებში 95%-იანი ათვისება გაქვს, გაუგებარია სად არის პრობლემა. მიმდინარე წლის ბიუჯეტი 2000000000 ლარზე მეტია და შესაბამისად, მომავალ წელს, აუთვისებელი ნაშთი თანხობრივად შეიძლება ცოტა მეტიც იყოს, რაც ბუნებრივია, თუმცა, ოპოზიცია ამით მანიპულირებს და ამბობს, რომ „ქართული ოცნება" პარტიული ინტერესებისთვის იყენებს ამ თანხას და არჩევნებში გამარჯვების მიზნით, ასაქმებს ადამიანებს, თითქოს არჩევნების შედეგების მიხედვით, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის განსხვავება მხოლოდ 85 ადამიანის და მათი ოჯახის წევრების ხმების რაოდენობა იყოს. აქვე აღნიშნა, რომ ქვეყანაში როდესაც არის ეკონომიკური ზრდა, რა თქმა უნდა, იზრდება ბიუჯეტი, თუმცა, დღეს, არიან ისეთი ქვეყნები და ქალაქები, მათ შორის, ცენტრალურ ევროპაში, სადაც ბიუჯეტები არათუ იზრდება, არამედ მცირდება სხვადასხვა მიზეზების გამო და იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში გვაქვს ეკონომიკური ზრდა, გაიზარდა ქალაქის ბიუჯეტი, რაც დადებითი მოვლენაა და მისასალმებელია.

ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ მას ხელთ აქვს ორი გადაწყვეტილება, რომლებიც ადასტურებს იმას, რომ როდესაც თბილისის საკრებულოში ოპოზიცია გარკვეულ საკითხებზე უმრავლესობას უწევს არგუმენტირებულ ოპონირებას, არ არის პარტიულად ანგაჟირებული და პირიქით, პარტიულად ანგაჟირებულია მხოლოდ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება თბილისის საკრებულოში, რომელთაგან გარკვეულ საკითხებს ოპოზიცია ასაჩივრებს ზემდგომ ინსტანციებში. ერთ-ერთი ასეთი არის გასული წლის მარტში, თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი და საკრებულოს მიერ დამტკიცებული მონაცვლეობა, რომლის უკან იდგა „ქართულ ოცნებასთან" დაახლოებული დეველოპერი კვეტენაძე და ამ საკითხის მიღმა იკვეთებოდა აშკარა კორუფციული სქემა - ამ პიროვნებას და მის გარემოცვას თბილისში შეძენილი ჰქონდათ აბსოლუტურად გამოუყენებელი ტერიტორიები, რომლის სანაცვლოდაც თბილისის მერიას სთხოვდა ორჯერ უფრო მეტ ქონებას, კერძოდ, 2300 კვ.მ. მიწის ნაკვეთს ცვლიდა 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთში, რითიც დედაქალაქი ზარალობდა დაახლოებით 700000 ლარს. აღნიშნული საკითხის მოკვლევის მიზნით, მან და საბა ბუაძემ მიმართეს პროკურატურას, რის შედეგადაც თბილისის მერიამ საკრებულოში წარმოადგინა ამ კონკრეტული მონაცვლეობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების დოკუმენტი, რომელსაც ტექნიკურ საფუძვლად უდევს ის, რომ თურმე დეველოპერმა ხელი არ მოაწერა შეთანხმებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა - როდესაც წინასწარ ალაგებ სქემას, ხარჯავ მილიონ ლარზე მეტს და თბილისის მერია და საკრებულო მოგყვება ამ გადაწყვეტილებაზე, რატომ შეიძლება დეველოპერს აღარ მოგინდეს კონკრეტული მონაცვლეობა? თავადვე უპასუხა ამ კითხვას და აღნიშნა, რომ ამ საქმეს პროკურატურაში მიეცა შესაბამისი მსვლელობა და სწორედ ამით არის განპირობებული დღეს წარმოდგენილი გადაწყვეტილება. ანა გოგოლაძემ აქვე აღნიშნა, რომ მეორე მსგავსი საკითხი არის ხევმმარის მიმდებარე ტერიტორიაზე კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ოჯახებისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემა, შემდგომი მშენებლობის მიზნით და ამ შემთხვევაშიც, ოპოზიციამ წარადგინა საერთაშორისო ორგანიზაციის და გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევები, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ეს კონკრეტული მდინარე ხასიათდება კატასტროფული წყალმოვარდნებით და ამ ტერიტორიაზე არანაირი მშენებლობა მიზანშეწონილი არ არის. ამასთანავე, პროექტი ეწინააღმდეგება გენ.გეგმის კონცეფციას, რომელიც ითვალისწინებს მდინარეების გახსნას და არა მათ დახურვას. ამ შემთხვევაშიც, ოპოზიციამ მიმართა სასამართლოს საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეჩერების მოთხოვნით და აღსანიშნავია, რომ მეორე ინსტანციის სასამართლომაც არ დააკმაყოფილა მერიის მოთხოვნა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ საკრებულოს წევრებისთვის ძალიან დიდი ემოციური ტვირთია საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ წასვლა, მაგრამ ის, რომ სასამართლომ მიიღო ამ კონკრეტული განკარგულების ამოქმედების შეჩერების გადაწყვეტილება, მიუთითებს იმაზე, რომ ხშირ შემთხვევაში, ამ საკრებულოში გადაწყვეტილების მიღება ნაკარნახევია არა თბილისის და თბილისელების, არამედ, პარტიული და კონკრეტულ პირებთან დაკავშირებული ბიზნეს-ინტერესებით.

გურამ ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ დღეს წარმოდგენილი პროექტის მიღების შემდეგ, დედაქალაქის ბიუჯეტი გადააჭარბებს ორ მილიარდ ლარს და აღსანიშნავია, რომ ცვლილებებში გათვალისწინებულია საკრებულოს კომისიების რეკომენდაციები, მათ შორის, სპორტისა და ახლგაზრდული მიმართულებით იზრდება ის თანხები, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა პროგრამების მიმართულებით. ზრდა იქნება 22000000 ლარზე მეტი, რაც ძირითადად, მოხმარდება სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას, სკეიტ-პარკების მშენებლობას, დიდი დიღმის და ვარკეთილის მულტიფუნქციურ ცენტრებს, ასათიანის ქუჩაზე მდებარე სპორტული კომპლექსის ინვენტარით აღჭურვას. ასევე, 5000000-მდე ლარი იქნება გამოყოფილი თბილისის მერის მიერ დაანონსებული მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობის სამუშაოების დაწყებას დიღმის მასივში, რაც იქნება იმ კონცეფციის ნაწილი, რომელიც გულისხმობს თბილისის ყველა რაიონში მასშტაბური სპორტული ცენტრების არსებობას და ხელმისაწვდომობას. მნიშვნელოვანი სიახლეა ასევე ის, რომ

დასრულდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია სამგორში და სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრების ხელშეწყობის მიმართულებით გაზრდილია დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ საბაზრო ფასზე უფრო დაბალი ფასით ისარგებლონ სხვადასხვა სერვისსა და პროდუქტზე. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ოპოზიციონერი კოლეგების მიერ ბიუჯეტთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებს და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია ის, რომ ყველა სხდომაზე ისმენს სხვადასხვა განცხადებებს და მიმართა მათ: „თუ მართლა გულწრფელად გინდათ რაღაც უკეთესი ამ ქალაქისთვის, მოამზადეთ ალტერნატიული ფინანსური დოკუმენტი“.

ლილე ლიპარტელიანი გამოეხმაურა გურამ ოქროპირიძის გამოსვლას და მიმართა მას: „თქვენ გავიწყდებათ, რომ ჩვენ ვართ ადგილობრივი თვითმმართველობა და ჩვენ არ ვართ სპორტის და კულტურის სამინისტრო. ჩვენ, ადგილობრივი თვითმმართველობა პასუხისმგებელი ვართ მასობრივ სპორტზე - 18 წლამდე ასაკის ბავშვების დაკავება სპორტით, კულტურით და ა.შ.“ მისი თქმით, იუნისეფის კვლევის თანახმად, თბილისის მოსახლეობის 90%-ს ბავშვი ვერ დაჰყავს სპორტზე და სახელოვნებო წრეებზე იმიტომ, რომ არ აქვს გადასახდელი თანხა. ამასთან დაკავშირებით, წლებია ოპოზიციას აქვს პროექტი, რომ სოციალურად დაუცველი ბავშვების ქულა 70000-დან აიწიოს 100-120 ათასამდე, რათა ამ ბავშვებსაც ჰქონდეთ შესაძლბლობა დაკავდნენ სპორტით, თუმცა, არავინ ახორციელებს ამ ინიციატივას, რადგან განსაკუთრებით სპორტის ხელშეწყობის ბიუჯეტის ნაწილი მიდის ალტერნატიული სპორტული ფედერაციების დაფინანსებაზე, სადაც დასაქმებულ ადამიანებს ხელისუფლება იყენებს საარჩევნოდ. ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა ხევმმარის ხეობაში მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ, სასიხარულოა, როგორც საქალაქო, ასევე, სააპელაციო სასამართლომ რომ შეაჩერა საკრებულოს განკარგულება, რადგან საფრთხე ემუქრებოდა ადამიანების სიცოცხლეს. აღნიშნა, რომ სასამართლომ მიიღო და გაითვალისწინა საკრებულოს ოპოზიციის წარმომადგენლების არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ეს განკარგულება მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა ადამიანების უფლებებს, რომ მდინარე არის განუსხვისებელი ქონება და რომ მნიშვნელოვანია გენ.გეგმის მოთხოვნების გათვალისწინება თბილისში მცირე მდინარეების გახსნასთან დაკავშირებით და არ მიიღო ხელისუფლების უსუსური არგუმენტები, რომ თურმე, შპს „არტე დეველოპმენტისთვის“ ცნობილი იყო, რომ მიწის ნაკვეთზე გადიოდა კოლექტორი და გაზსადენი. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, განაცხადა, რომ გადაწყვეტილების მიმღები არის არა „არტე დეველოპმენტი“, არამედ საკრებულო, რომელიც არის ქალაქის მართვაში და პასუხისმგებლობასთან ერთად აქვს ვალდებულება, რომ ადამიანებმა იცოდნენ, მათ შორის, არა მხოლოდ ზემოთ ხსენებულმა დაზარალებულებმა, თუ სად და რა რისკების ქვეშ უნდა იცხოვრონ საკრებულოს უმრავლესობის მიერ კორუფციული ინტერესებით მიღებული „მავნებლური“ გადაწყვეტილებების გამო.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ 2024 წლის 4 თებერვალს, კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, პაციენტთა ორგანიზაციის თხოვნით, საკრებულოში გაიმართა ონკოპაციენტების, საკრებულოს წევრებისა და მედიკოსების შეკრება და ეს იყო პირველი 4 თებერვალი, როდესაც ონკოპაციენტებს არ ჰქონდათ უსახსრობის გამო მკურნალობის შეჩერების შიში. აქვე აღნიშნა, რომ ამ თემასთან დაკავშირებით მისი პირველი შეხვედრა იყო დაახლოებით ორი წლის წინ, როდესაც გენდერული თანასწორობის საბჭო ჩაება კამპანიაში „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“ და მაშინ ეს ადამიანები, სახელმწიფო უწყებებთან ერთად, ეძებდნენ გზებს, თუ როგორ უნდა გამხდარიყო შესაძლებელი, რომ ონკოპაციენტებს მოეპოვებინათ სრული დაფინანსება და სახელმწიფოსგან მიეღოთ უწყვეტი ზრუნვა. თინათინ ნიბლოშვილმა წაიკითხა 12 თებერვალს, ონკოპაციენტების მხარდამჭერ აქციაზე ერთ-ერთი კოლეგის მიერ გამოთქმული სიტყვის ამონარიდი: „სახელმწიფოსგან ყურადღების მიღმა დატოვებულ ადამიანებს უწევთ გარეთ დგომა და ბრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად“ და აღნიშნა, რომ აქციაზე მყოფი ადამიანები ითხოვდნენ იმას, რაც უკვე განხორციელდა და განაცხადა, რომ გაუგებარია, როგორ უნდა ეცადო, პოლიტიკური ქულა ჩაიწერო ონკოპაციენტების და ზოგადად, ონკოლოგიის თემაზე სპეკულაციით. მისი თქმით, რამდენიმე

კვირის განმავლობაში, ტელეეთერებიდან ისმოდა განცხადებები, მათ შორის, საკრებულოს წევრების მხრიდანაც, რომ სახელმწიფომ მიატოვა ონკოპაციენტები იმ ფონზე, როდესაც 4 თებერვალს საკრებულოში გამართულ შეხვედრაზე ონკოპაციენტები მადლობას იხდიდნენ იმისთვის, რომ მათ მიერ ამ ბრძოლაში გადადგმულმა ნაბიჯებმა გამოიღო შედეგი და დღეს, სახელმწიფოს მხრიდან, აქვთ უწყვეტი ზრუნვა და არ უწევთ გაყიდონ ბინები და დარჩნენ თავშესაფრის გარეშე. ხსენებულიდან გამომდინარე, მიმართა კოლეგებს: „მინდა გთხოვოთ, თავი შევიკავოთ ამ მართლაც ძალიან მძიმე თემით სპეკულაციებისგან, გავითვალისწინოთ ონკოპაციენტების ფსიქოლოგიური მდგომარეობა და შევიდეთ მათი ოჯახის წევრების მდგომარეობაში“.

საბა ბუაძემ ისაუბრა დედაქალაქში არსებულ ურბანულ მდგომარეობაზე და განაცხადა, რომ ამ მიმართულებით მიიღება „საზარელი გადაწყვეტილებები“ და ერთ-ერთი ასეთია მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი „ვისოლ ჯგუფის“ პროექტი ქეთევან წამებულის გამზირზე, რომელიც ამ ქალაქში ცხოვრებას გახდის შეუძლებელს და თბილისის მერიაში განხილვის პროცესში არსებული, სანაპიროზე რესტორან „არაგვის“ ტერიტორიაზე განსახორციელებელი „უბედურება“, რომელიც შემოვა საკრებულოში და დიდი ალბათობით, უმრავლესობა მას „მწვანე შუქს აუნთებს“. აქვე აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე ასევე, განიხილება მასიური მშენებლობა ორთაჭალაში და განაცხადა, რომ საკრებულოს ყველა სხდომა, სადაც ხდება „ურბანული გენოციდის დაკანონება“ არის დანაშაულში თანამონაწილეობა. საბა ბუაძის თქმით, წინ გვაქვს ასევე, იპოდრომის ტერიტორია, რომელიც ივანიშვილმა გაასხვისა, ტელევიზიის ტერიტორია, სადაც „ვისოლ ჯგუფი“ აპირებს მშენებლობის განხორციელებას და ბევრი სხვა პროექტი, რაც გამოწვეულია იმით, რომ „დღეს ქალაქს მართავს „სამშენებლო დეველოპერული კარტელი, რომლის სათავეშიც არის კალაძე, რომელიც არის ამ ყველა უბედურების ინსპირატორი“ და ამ გადაწყვეტილებების ფასს, თითოეული ჩვენგანი ვიხდით ყოველდღიურად. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ზემოთ ხსენებული პროექტები არ არის განყენებული საკითხები ქალაქის ცენტრში, რადგან თბილისში არ დარჩა უბანი, სადაც არ ხდება „ეს კატასტროფა“ და საბოლოო ჯამში, ყველა, ვინც ასეთ გრგ-ებს მხარს უჭერს, ამ „კატასტროფული გადაწყვეტილებების“ თანამონაწილეა, თუმცა, ამ ხელისუფლებისგან არაფერი უკვირს, რადგან, ყველაფრის უკან არის კორუფციული ინტერესი.

შალვა ოგბაიძემ ისაუბრა ბიუჯეტის წარმოდგენილ ცვლილებებზე და ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში თანამშრომლების დამატებაზე და აღნიშნა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებულია ის 40 ერთეული ავტობუსი, რომლითაც შეივსება დაპირებული 200 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსის პარკი, ხოლო სააგენტოში კადრების დამატება გამოწვეულია იმით, რომ წინ მივდივართ და ჩვენს თანამოქალაქეებს ვთავაზობთ მეტ სერვისს.

გიორგი შარაშიძემ ისაუბრა ე.წ. „კლუბურ ნარკოტიკზე“ და განაცხადა, რომ ფაქტობრივად, კვირა არ გავა ისე, რომ მისი მოხმარების შედეგად არ გარდაიცვალოს ახალგაზრდა. ამ პრობლემას არ უჩანს დასასრული და ყველაზე მთავარი არის ის, რომ ხელისუფლებას არ აქვს არანაირი კონკრეტული გეგმა, როგორ აპირებს მასთან ბრძოლას. გასაგებია, რომ არც საკრებულოს და არც მერიას არ აქვს პირდაპირი ბერკეტები ამ საკითხის გადასაჭრელად, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ღამის კლუბების უმრავლესობა, სადაც ხდება ეს ყველაფერი, განთავსებულია თბილისში, დაუშვებელია ამ თემაზე გაჩუმება, როგორც საკრებულოს წევრების, ასევე, თბილისის მთავრობის მხრიდან და ფიქრობს, რომ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს ამ კუთხით - თუნდაც, ერთობლივი მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ჯანდაცვის სამინისტროსთან. ასევე, შესაძლებელია ერთობლივი საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის დაფინანსება ამ მიმართულებით, რათა ახალგაზრდებმა გაიგონ, რომ არ არსებობს არანაირი „კლუბური ნარკოტიკი“, ყველა ნარკოტიკი კლავს და დამღუპველია მათი ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ ამ მიმართულებით არ ჩანს ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებული აქტიურობა და აღნიშნული ეხება ახალგაზრდების

სიცოცხლეს, მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ დასვან ეს საკითხი და თუნდაც თბილისის საკრებულოში, შესაბამისი უწყებების მონაწილეობით, შეიქმნას რაიმე პლატფორმა ან სამუშაო ჯგუფი და საკრებულოს წევრებმა გამოიჩინონ ერთგვარი ლიდერობა, რომ დაიწყოს გარკვეული მოძრაობა და ნაბიჯების გადადგმა ამ პრობლემის მოგვარებისკენ.

ანა კაკაბაძემ აღნიშნა, რომ თბილისის ბიუჯეტში არის ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეები, რომელთაგან ერთ-ერთი არის ის, რომ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების აბილიტაციის ქვეპროგრამას დაემატა 250 ბენეფიციარი, რის შედეგადაც მომლოდინე რეჟიმში მყოფი ყველა ბავშვი მიიღებს დაფინანსებას, რაც სერიოზული შეღავათია, როგორც თავად ბავშვებისთვის, ასევე მათი ოჯახებისთვის და განაცხადა, რომ სრულ მხარადაჭერას უცხადებს ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ დაპირება იყო და დღევანდელი ხელისუფლების დროს შემუშავებულ გენ.გეგმაში წერია, რომ თბილისი უნდა იყოს მწვანე, კარგად შეკავშირებული, მედეგი და კომპაქტური ქალაქი. მმართველ გუნდს არაერთხელ უტრაბახია იმით, თუ როგორ უფრთხილდება სარეკრეაციო ზონებს, თუმცა, ვხედავთ, რომ რეალობაში სულ სხვა რამ ხდება და გენ.გეგმა რჩება ფარატინა ფურცლად, რისი ნათელი მაგალითიც არის ის, რომ სამი ბენზინგასამართი სადგურის აღება საჭირო გახდა წლების შემდეგ იმ არგუმენტით, რომ ეს არის საცობების პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი ზომა, მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან ამ ტერიტორიაზე საცობები მაინც იქნება იქიდან გამომდინარე, რომ იქ რჩება გზის ძაბრისებური ფორმა. ამასთანავე, ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგურის მესაკუთრეს, უძრავი ქონების სანაცვლოდ, მიწის ნაკვეთი გადაეცემა დიღმის ჭალებში იმ არგუმენტით, რომ დღეის მდგომარეობით იმ ტერიტორიაზე არ არის გამწვანება. აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს ერთ-ერთ გასულ სხდომაზე მიღებული იქნა დიღმის ჭალების კონტურების ცვლილების გადაწყვეტილება, რაც გამოწვეული იყო არაკანონიერი მშენებლობით და ეს ყველაფერი იწვევს იმას, რომ დედაქალაქი კარგავს შანსს, რომ დიღმის ჭალებში მოეწყოს რეკრეაციული სივრცე, რაც ისედაც ძალიან გაიწელა დროში. განაცხადა, რომ „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული „ვისოლის“ ბენზინგასამართი სადგურის სანაცვლოდ, მესაკუთრეს მიწის ნაკვეთი გადაეცემა სუბურბანულ ტერიტორიაზე, სადაც მართალია დაგეგმილი არ არის ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობა, მაგრამ გაუგებარია, რა საჭიროა კერძო მესაკუთრეებისთვის ასეთ ზონებში არსებული მიწის ნაკვეთების გადაცემა მაშინ, როდესაც ქალაქს აქვს შესაძლებლობა, რომ მოანაცვლოს არასარეკრეაციო ზონები. ბარბარა ჯიმელი სულაშვილის თქმით, დღეს მერია ფუნქციონირებს შემდეგნაირად: მაგალითად, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ქმნის პრეცედენტს, რომ რეკრეაციული ზონის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ნაწილი უნდა შეიცვალოს სამშენებლო ზონით, სადაც მშენებლობის განხორციელების შემდეგ გვეტყვიან, რომ ეს ტერიტორია უკვე განაშენიანებულია, შესაბამისად, მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მიზანშეწონილია მშენებლობა და საკრებულოც მხარს დაუჭერს ყველა პროექტს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ეს ქალაქი არც მწვანეა, არც მედეგი, არც კარგად შეკავშირებული და არც კომპაქტური. მმართველი პარტია ამბობს ერთს, თუმცა, აკეთებს სულ სხვა რამეს და ამას აკეთებს არა მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ რამდენიმე ცალკეული ადამიანის ინტერესიდან გამომდინარე, რომლებსაც შემდეგ ვხედავთ ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ პარტიის გვერდით.

ნინო კვიტაიშვილი გამოეხმაურა სხდომაზე გაჟღერებულ განცხადებას, რომ „ჩვენ არ გვსურს „ქართული ოცნება“ ვიხილოთ ხელისუფლებაში“ და განაცხადა: „დიახ, ეს ასეა. ასეთი უტყუარი ფრაზა ჯერ არ ყოფილა. ოღონდ, „ჩვენ“-ში იგულისხმება, ამ შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობა და, მათ შორის, თბილისელები“. ისაუბრა იმაზე, თუ რატომ არ სურს საზოგადოებას, რომ ეს ძალა დარჩეს ხელისუფლებაში და განაცხადა: „უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ეკონომიკა, რომელიც დუღს, დუღს კონკრეტული პირების ჯიბეში და არ იხარჯება მოქალაქეებზე ანუ ამ კეთილდღეობას მოქალაქეები საკუთარ თავზე ვერ გრძნობენ... ამავდროულად, რეალურად, „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნები მოწადინებულნი არიან

ერთისკენ - როგორმე ნეპოტისტური, კლანური საფუძვლებით, ჩაფლულნი იყვნენ კორუფციაში და რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღონ პირადად და არა იმისკენ, რომ ქვეყნის დოვლათი იხარჯებოდეს ისევ მის მოსახლეობაზე". ნინო კვიტაიშვილის თქმით, შესაძლებელია, რომ ნორმალურ სახელმწიფოში, ბიუჯეტის ისეთი ზრდის მიმართ, როგორიც არის თბილისის შემთხვევაში, ოპოზიციის წარმომადგენლებს ჰქონოდათ სხვა დამოკიდებულება და ეთქვათ, რომ რაღაცას მიაღწიეს, მაგრამ თუ თბილისის ბიუჯეტის ზრდა პირდაპირპროპორციულად არ უკავშირდება თბილისის მოსახლეობის სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრას, ბუნებრივია, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ფინანსური და ადამიანური რესურსი გამოყენებული იქნება საარჩევნოდ, რაც აქამდეც გაუკეთებია ამ ხელისუფლებას და როდესაც საარჩევნო წელს საუბარია დასაქმების მაჩვენებლის მატებაზე, აქაც ჩნდება გონივრული ეჭვი პარტიული აქტივის დასაქმებაზე, რადგან ესეც გაუკეთებია ხელისუფლებას ბიუჯეტის ხარჯზე. აქედან გამომდინარე, უმრავლესობას არ უნდა გაუკვირდეს ის კითხვები, რომელსაც სვამს ოპოზიცია, რადგან ისინი მოდის სწორედ იმ მოსახლეობისგან, რომელსაც მართავს ხელისუფლება, თუმცა, რეალურად, ხელისუფლება ვერც მოსახლეობის აზრს მართავს და ვერც მოსახლეობას, რადგან დღეს, ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობა არის დიდად მეტი წილი, ვიდრე ეს აქამდე ყოფილა.

კონსტანტინე ზარნაძის თქმით, როდესაც გაჟღერდა ფრაზა, რომ ბიუჯეტმა გადააჭარბა ორ მილიარდ ლარს და არის უპრეცედენტო, ოპოზიციონერი კოლეგების სახეზე შენიშნა ღიმილი და მიმართა მათ: „დიახ, ბიუჯეტი არის უპრეცედენტო. დიახ, უპრეცედენტოდ ბევრი საქმე გაკეთდა დედაქალაქში, ჩვენი ხელისუფლების დროს. დიახ, ყველაზე მეტი საქმე გაკეთდება მომავალში და ამის თქმის საფუძველს გვაძლევს კონკრეტული საქმეები. ჩვენ ჰაერზე არ ვლაპარაკობთ, მოსახლეობა ამას ძალიან კარგად ხედავს. ამ უპრეცედენტოდ გაზრდილი ბიუჯეტის დამსახურება იქნება ის, რომ გლდანის რაიონში მოხდება პატარა ტბის რეაბილიტაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იქ მაცხოვრებელი ადამიანებისთვის. კიდევ ერთი საქალაქო მნიშვნელობის სივრცე შეემატება არა მარტო ჩვენს რაიონს, არამედ დედაქალაქს და ამას რომ მხარს არ უჭერთ, ეს ნათლად და ღიად უნდა იცოდეს ჩვენმა საზოგადოებამ. ნათლად და ღიად უნდა იცოდეს ჩვენმა საზოგადოებამ, რომ მხარს არ უჭერთ სატრანსპორტო რეფორმის განხორციელებას და ბოლომდე მიყვანას". კონსტანტინე ზარნაძე, გამოეხმაურა გაჟღერებულ ფრაზას, რომ ვერ მოხერხდა ავარიული სახლების ჩანაცვლება და აღნიშნა, რომ არავინ ამბობს იმას, რომ ამ პროცესს არეგულირებს გარკვეული წესები და არცერთი ისეთი კორპუსის ჩანაცვლება არ იქნება გაჩერებული, რომლის მაცხოვრებლებიც გაჰყვებიან და დააკმაყოფილებენ ამ წესებს. ასევე, გამოეხმაურა მედიკამენტებთან დაკავშირებით გაჟღერებულ რეპლიკას და განაცხადა, რომ ორ მილიონ ლარზე მეტია დახარჯული მხოლოდ გლდანის რაიონის მაცხოვრებლებისთვის მედიკამენტებისა და სხვადასხვა სოციალური მიმართულებების დაფინანსებაში. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „თქვენი დღევანდელი გამოსვლა იყო „ჭიქაში ქარიშხლის დატრიალების მცდელობა... ცინიზმი, სიცილი..." ვის დასცინით? თქვენი ქალაქის მოსახლეობას დასცინით? დარწმუნებულები იყავით, რომ მოსახლეობა პასუხს გაგცემთ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე".

ვახტანგ სურგულაძე გამოეხმაურა ონკოლოგირ პროგრამასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ესწრებოდა 4 თებერვალს გამართულ შეხვედრას, სადაც მადლობა გადაუხადა მთავრობის წევრებს, რადგან გაუხარდა, რომ ონკოლოგიის მიმართულებით გაკეთდა კარგი პროგრამა, თუმცა, ეს ყველაფერი აღმოჩნდა ტყუილი, რისი დასტურიც არის ვანის რაიონში მცხოვრები კონკრეტული პიროვნება, რომელმაც გაყიდა საქონელი, რათა დაეწყო ქიმიოთერაპია იმიტომ, რომ სამინისტროსგან ვერ მიიღო პასუხი იმასთან დაკავშირებით, თუ როდის იქნებოდა ხელმისაწვდომი მედიკამენტი. აქვე აღნიშნა, რომ ხვალ, საკრებულოში, მასთან შესახვედრად მოდიან ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ ანალოგიური პრობლემა და თუ ვინმეს არ სჯერა მისი სიტყვების, შეუძლია თავადაც შეხვდეს ამ ადამიანებს და პირადად მათგან მოისმინოს, რა ხდება ამ პრობლემის ირგვლივ. ვახტანგ სურგულაძემ ასევე, ისაუბრა „ალექსანდროვის ბაღში" არსებულ მდგომარეობაზე, სადაც ე.წ. საზოგადოებრივი

ტუალეტის გამო, სამარცხვინო სიტუაციაა და გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნება დაიხუროს, ან გამოცხადდეს მისი სამწლიანი რეკონსტრუქცია, ან მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდეს იჯარით ღია კაფეს მოწყობის მიზნით, რადგან იმ ფონზე, როდესაც გვინდა, რომ თბილისი იყოს ევროპული ქალაქი, არ შეიძლება შუა ქალაქში იყოს „უფასო ჩეჩმა“.

ნათია მოდებაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციონერი კოლეგებისგან მოისმინა „ძალიან უცნაური განცხადებები“, რადგან საუბრობენ იმაზე, რომ ხელისუფლება ვერ ასაქმებს ადამიანებს, თუმცა, ამავდროულად აპროტესტებენ მერიის სტრუქტურაში ასი ადამიანის დასაქმებას; საუბრობენ იმაზე, რომ ხელისუფლება ბიუჯეტს ძარცვავს და პარალელურად აპროტესტებენ იმას, რომ ბიუჯეტში რჩება ნაშთი. ამავდროულად, არაფერს ამბობენ იმაზე, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილებებით დაფინანსებას მიიღებს დამატებით 250 აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვი, რითიც ამოიწურება მომლოდინე ბენეფიციარების რაოდენობა. ასევე, არაფერს ამბობენ სოციალურად დაუცველი ბავშვების დაფინანსებაზე, ერთჯერად დახმარებებზე და საუბრობენ იმაზე, რომ ხელისუფლებამ მედიკამენტების გარეშე დატოვა მოსახლეობა, მაშინ, როდესაც 500 ლარიანი დაფინანსება და მილიონობით დახარჯული ლარი სოციალურ დახმარებებზე, სწორედ მედიკამენტების და მკურნალობის კუთხით იყო მიმართული. ნათია მოდებაძემ, საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ოპოზიციისთვის რთულია დადებით და პოზიტიურ ჭრილში საუბარი და მიმართა მათ: „ტყუილს მაინც ნუ იტყვით ან საერთოდ ნუ იტყვით ნურაფერს. თქვენს ამომრჩეველს ეცით პატივი, სხვას რომ არ აღიარებთ ამ ქვეყანაში, ეს გასაგებია.“

ზაზა თავაძემ აღნიშნა, რომ სხდომაზე გაიჟღერა ფრაზამ, რომ „ალბათ ოპოზიცია ბიუჯეტის ზრდას არც ამჯერად დაუჭერს მხარს“ და განაცხადა, რომ ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ ბიუჯეტის ზრდას სიამოვნებით დაუჭერდა მხარს, უმრავლესობა უკვე მესამე წელია რომ არ აიგნორებდეს დროებითი ანტიკორუფციული კომისიის შექმნის ინიციატივას. მისთვის გაუგებარია, რას ემსახურება აღნიშნული კომისიის შექმნისთვის თავის არიდება, რადგან ამ კომისიას შეეძლო ეპასუხა თბილისის მოსახლეობაში არსებული კითხვებისთვის. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ მართალია, ფრაქცია მიესალმება ორ მილიარდიან ბიუჯეტს, რომელიც დღეს ექნება დედაქალაქს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ბევრი კითხვის ნიშნებია მის ხარჯვასთან დაკავშირებით.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ საკრებულოს ყოველ სხდომაზე აქვს განცდა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები განიცდიან დეგრადაციას და ამის მიზეზი არის ის, რომ მაშინ, როდესაც ფაქტია ბიუჯეტი იზრდება, ამბობენ, რომ არ იზრდება, რითიც „საოცარ მდგომარეობაში“ იგდებენ თავს, თუმცა, არჩევნებზე რომ დამარცხდებიან, იტყვიან, რომ არჩევნები გაყალბდა და არ არის ლეგიტიმური. ზურაბ აბაშიძის თქმით, მისი სიტყვები, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება, მაგრამ საკრებულოში არიან ოპოზიციის წევრები, რომლების პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს საკმაოდ მძიმე წარსული აქვთ და დღევანდელ ხელისუფლებას ბრალს სდებენ იმაში, რაც იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერა და როგორც არ უნდა ეცადონ გამოეყონ ამ პარტიას კონკრეტული ადამიანები, მათ მაინც ერთი სახე და ერთი პოლიტიკური წარსული აქვთ.

ზურაბ ჩიკვილაძე გამოეხმაურა ვახტანგ სურგულაძის მიერ ონკოლოგიურ პროგრამასთან დაკავშირებით გაჟღერებულ ინფორმაციას, აღნიშნა, რომ რეფერალური დაფინანსების შემთხვევაში, ჯანდაცვის სამინისტრო გადის შესწავლის პროცედურებს და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევებში პროგრამულად იყოს მცირე დაგვიანება და მიმართა, მას, რომ თითოეული ასეთი შემთხვევა ერთად განიხილონ კომისიურ ფორმატში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის ბადრი გიორგიძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „გიორგი ხვედელიძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ გოგიტიძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

8. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/ და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

10. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

11. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი:ქეთევან კანდელაკიშვილი

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის“ დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

13. „ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში მდებარე 35.10 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083.01.083) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა N28-ში არსებული 16.60 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.072) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, გალაკტიონის ქუჩა N3-5-ში არსებული 15.26 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.004.02.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა N25-ში არსებული 18.87 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.01.081.006.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-10 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.013.01.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა N76-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.03.003.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, დავით გამრეკელის ქუჩის I შესახვევი N6-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.14.031.021) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.003.01.529) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.135 და N01.19.20.020.069) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის N22.950.1016 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ-ში არსებული 47.99 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N120-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.072.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 28.85 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.074.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუსი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.004.005.01.119) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

28. „ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების გასასვლელი N3-ში (საკადასტრო კოდები: N01.18.04.011.045.02.501 და N01.18.04.011.045.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

29. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028) არსებულ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N649 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

30. „ქ.თბილისში, ც.დადიანის N39-ის მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. N01.16.02.001.012) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გუბაზისთვის“ (ს/ნ. 202898123) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

31. „ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.14.011.190) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იუპიტერი 23“-ისთვის (ს/ნ. 426130386) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

32. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9685 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.009.237) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

33. „ქ.თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2023 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

34. „ქ.თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა N21-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2402 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.01.004.151) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

35. „ქ.თბილისში, სოფელ ლისსში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 13467 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.16.094.010) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

36. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ნინო ადუაშვილს (პ/ნ. 01027028448) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნინო ადუაშვილის (პ/ნ. 01027028448) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ნონა ფიცხელაურს (პ/ნ. 44001001023) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნონა ფიცხელაურის (პ/ნ. 44001001023) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

38. „2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქ.თბილისში, ო.კაპანაძის ქუჩა N4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

39. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ. 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ. 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ.თბილისში, არჩილ მეფის ქ.N13-15-ის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

40. „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული/განსახორციელებელი

სამშენებლო პროექტების ფარგლებში რიგი ღონისძიებების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხის შეთანხმების შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

41. „შპს „არქი ვარკეთილის" (ს/ნ. 405247754) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III (ნაკვ. 06/037) (ს/კ. N01.19.20.006.135) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

42. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ისანი თაუერსის" (ს/ნ. 404614681) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ.N69 (ს/კ. N01.17.13.038.024) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

43. „შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის" (ს/ნ. 406228283) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ (ს/კ.N01.10.07.007.093) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

44. „მისამართზე - ქ.თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ.N22 (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.373) არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ. 405204540) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

45. „ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.004) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ნიუ გრუპ ვაკე"-ს (ს/ნ. 405322155) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

46. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა N66/N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.016.015, N01.10.14.016.012 ფართობი - 865 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

47. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის ზემოთ მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.258, ფართობი - 600 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

48. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვახტანგ ლომჯარია

49. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

50. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, შუა მინდვრის ქუჩა, N 38ა; N38; N34-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.58.003.002; N72.16.28.131; N01.72.58.003.001;N72.16.28.126) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

51. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N65, N69;ჭრელაშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, უჯარმის II შესახვევი, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.13.038.059; N01.17.13.038.009; N01.17.13.038.050) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

52. „ქალაქ თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.072) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

53. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N113-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.09.009.006; N01.18.09.009.005) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

54. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.402) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

55. „ქალაქ თბილისში, ჩოჩუას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.10.002.294; N01.17.10.002.278; N01.17.10.002.276) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

56. „ქალაქ თბილისში, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.015.042; N01.17.12.015.043) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

57. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N9; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/018), (ნაკვეთი 08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.045; N01.14.16.008.018; N01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

58. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქ თბილისში, ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზირი, N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.013.926; N01.72.14.009.657; N01.10.05.042.012) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საავტომობილო მომსახურების ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

59. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.905) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

60. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, N1, N1ა, N1გ; N1დ; N1ბ; N1ე; ქალაქი თბილისი, თვალჭრელიძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.18.008.032, N01.19.18.008.029, N01.19.18.008.030, N01.19.18.008.027, N01.19.18.008.033, N01.19.18.008.031, N01.19.18.008.034, N01.19.18.008.047, N01.19.18.008.051) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

61. „ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი, თავდაცვის სამინისტროს IV ბრიგადის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.10.008.066, N01.17.10.008.065) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 სექტემბრის N238 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

62. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.17.947) სასწავლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N384 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

63. „ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, თვალჭრელიძის ქ.N2-ში არსებულ N009/023 მიწის ნაკვეთზე სავაჭრო კომპლექსის ასაშენებლად მომზადებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 30 იანვრის N01/211 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

64. „ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (N01.17.14.003.571; N01.17.14.003.187) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N587 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

65. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლისა და გულიას ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური-საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

66. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2023 წლის 6 თვის (01.07.2023-31.12.2023) მუშაობის ანგარიში“;

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

67. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, არჩილ ქურდიანის ქუჩისთვის არქიტექტორების არჩილ და გია ქურდიანების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

68. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გოჩა მაჩაიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

69. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, დისევის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ერთი ჩიხისთვის და ლუბლიანას ქუჩის მონაკვეთისთვის ბავშვთა ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი ჟვანიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

70. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

71. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის III შესახვევისთვის, გუჯარეთის II ქუჩისთვის, მელაანის I და II ჩიხისთვის პოლიტიკური მოღვაწის, რაჟდენ არსენიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

72. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ-ლილოში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიაზე, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

73. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, რევაზ მამისაშვილის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის რევაზ მამისაშვილის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

74. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თმოგვის მეორე გასასვლელისთვის, ახალგორის ქუჩისთვის და ქართლის II შესახვევისთვის ახალგორის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

75. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შანდორ პეტეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის შანდორ პეტეფის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

76. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

77. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, იულია ფაილომის ქუჩასთან მდებარე ოთხი უსახელო ჩიხისთვის იულია ფაილომის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის ბადრი გიორგიძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსმა ბადრი გიორგიძემ, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წერილობითი განცხადებით (წერილი N13-01240372759 თარიღი: 06.02.2024) მიმართა საკრებულოს. აქვე აღნიშნა, რომ ბადრი გიორგიძე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულად ჩაითვლება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან ბადრი გიორგიძის გათავისუფლების საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

2. „გიორგი ხვედელიძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ გიორგი ხვედელიძე არის გამოცდილი კადრი, რომლის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს შესაბამისი კომისიების სხდომებზე.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ყველა წევრს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გიორგი ხვედელიძეს გაცნობოდა კომისიის სხდომაზე და მიმართა მას, რომ რამდენიმე სიტყვით ისაუბროს თავის გამოცდილებაზე. აქვე აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, საკრებულოს წევრებს არც იმის შესაძლებლობა ჰქონიათ, რომ მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის წინა უფროსისგან, საკრებულოს სხდომის ან კომისიის სხდომის ფორმატში, მოესმინათ ინფორმაცია აუდიტის დასკვნებზე და თხოვნით მიმართა გიორგი ხვედელიძეს, რომ გამოიყენონ თანამშრომლობის შესაძლებლობა იმისთვის, რომ საკრებულომ მოახერხოს თავისი საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება იმ კვლევებზე დაყრდნობით, რომლებსაც ახორციელებს აუდიტის სამსახური.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსმა ბადრი გიორგიძემ ისე დატოვა დაკავებული თანამდებობა, რომ საკრებულოს მისგან ანგარიში არ მოუსმენია და დაინტერესდა, ითანამშრომლებს თუ არა გიორგი ხვედელიძე საკრებულოს ოპოზიციის წევრებთან.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ დიდი ხანია იცნობს გიორგი ხვედელიძეს, რომელიც თავისი საქმის პროფესიონალია, იმედი გამოთქვა, რომ ის პირნათლად შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს და ისურვა, რომ მისი არჩევის შემდეგ, შიდა მოკვლევის სამსახურში გადაწყდეს ისეთი საკითხები, რომლებიც აქამდე პირდაპირ მიდიოდა პროკურატურაში იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობდა უფრო მარტივად და მობილურად კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის გზა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დარწმუნებულია, გიორგი ხვედელიძეს გათვითცნობირებული აქვს პასუხისმგებლობა და წარმატებები უსურვა მას მომავალ საქმიანობაში.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის საზედამხედველო საქმიანობის განხორციელება, თუმცა, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც საკრებულოს ოპოზიციონერი წევრები თვეობით და წლობით ვერ იღებენ პასუხს მერიაში გაგზავნილ წერილებზე, რისი შემდეგი მექანიზმი არის შიდა აუდიტის სამსახურისთვის მიმართვა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ან ზედაპირული პასუხით შემოფარგლულა სამსახური, ან საერთოდ უპასუხოდ დაუტოვებია მათი წერილები. აქედან გამომდინარე, გიორგი ხვედელიძეს მიმართა თხოვნით, რომ ამ საკითხს მიუდგეს ყურადღებით, რადგან საკრებულოს ოპოზიციის წევრებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ჰქონდეთ წვდომა შესაბამის დოკუმენტაციაზე და წარმატებები უსურვა მას მომავალ საქმიანობაში.

გიორგი ხვედელიძემ ისაუბრა საკუთარ ბიოგრაფიაზე და აღნიშნა, რომ 2000 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რის შემდეგაც მუშაობა დაიწყო გენერალურ პროკურატურაში. 2003 წელს გადავიდა ქალაქის პროკურატურაში გამომძიებლად, 2009 წლიდან მუშაობა განაგრძო თავდაცვის სამინისტროში საგამოძიებო ნაწილის უფროსის თანამდებობაზე, ხოლო 2011 წლიდან დაბრუნდა პროკურატურაში, თავდაცვაზე ზედამხედველობის დეპარტამენტში პროკურორის თანამდებობაზე. 2015 წელს გადავიდა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ინსპექტირების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე, ხოლო 2018 წლიდან დღემდე, ამავე სამინისტროში იკავებდა შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას. გიორგი ხვედელიძემ ასევე, ისაუბრა სამომავლოდ გასატარებელ ღონისძიებებზე და აღნიშნა, რომ მოლოდინი დიდია, თუმცა, ამ ეტაპზე ბევრს ვერაფერს იტყვის, რადგან, პირველ რიგში, საჭიროა გაეცნოს შიდა სიტუაციას, რის შემდეგაც მიმართავს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაახლოებით 200000000 ლარის ოდენობით ნაშთის და შემოსავლების ზრდით მიღებული თანხის ასახვა 2024 წლის ბიუჯეტში, რის შედეგადაც თბილისის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 2004389000 ლარს. აქვე აღნიშნა, რომ 2023 წლის ნაშთის სახით გადმოტანილი თანხიდან 100000000 მილიონზე მეტი არის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბება, დარჩენილი თანხიდან 60000000 ლარზე მეტი არის გარდამავალი პროექტებიდან და 40000000 ლარამდე არის ყველა მიმართულების ეკონომია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 5

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ გოგიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ცვლილება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში, კერძოდ, 250 ერთეულით იზრდება ბენეფიციართა რაოდენობა, რის შედეგადაც პროგრამაში ჩაერთვებიან მომლოდინეთა რიგში მყოფი ბავშვები და სრულად მიიღებენ მომსახურებას, საჭიროების მიხედვით.

ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების გადანაწილების საკითხი, რადგან ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მშობლები არ თანხმდებიან ამა თუ იმ კლინიკას, რომელსაც სთავაზობს მუნიციპალიტეტი და აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, რომ დამატებულ ბენეფიციარებთან ჩართულობა იყოს მაღალი, რათა მერიამ რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს სისტემის აწყობა და პირველი მარტიდან ეფექტურად მოხდეს ამ ბავშვებისთვის მომსახურების მიწოდება.

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში, დიდი წინსვლაა ამ კუთხით და მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს წარმატებები უსურვა ყველა მიმართულებით.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9

თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება სწავლის დაფინანსების მიმართულებას, კერძოდ, წესში ზუსტდება სამი კომპონენტი: გათვალისწინებული იქნება 18 წლამდე შშმ ბავშვის სტატუსი და დაფინანსება გათანაბრებული იქნება მკვეთრად გამოხატული შშმ პირების მიმართ არსებული დაფინანსების ოდენობასთან; უნივერსიტეტიდან წარმოდგენილი ცნობის შემთხვევაში, დამატებით მოითხოვება, ფლობს თუ არა რაიმე სხვა ტიპის დაფინანსებას აღნიშნული პიროვნება; მრავალშვილიანი ოჯახის წევრი პირების შემთხვევაში, დოკუმენტის განახლება მოხდება ყოველწლიურად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, წარმოდგენილი პროექტით ხდება არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის აღდგენა/რესტავრაცია/რეკონსტრუქციის სამართლებრივი საკითხების მოწესრიგება. კერძოდ, როდესაც ესა თუ ის კომპოზიცია დაზიანებულია ან მისი არსებობა საფრთხის შემცველია ან/და მისი ავტორი გარდაცვლილია ან ვერ დგინდება, საკითხის მოგვარების გადაწყვეტილებას, შესაბამისი დარგის ექსპერტების ჩართულობით, იღებს თბილისის მერი ან თბილისის მთავრობის წევრი. ასევე, მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება შესაბამისი კომისიის შექმნის ფორმატი, რათა მსგავსი პრობლემის დროს, დროულად მოხდეს ჩარევა და მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ ცვლილება ეხება N580 მარშრუტს, სადაც, მოძრავი შემადგენლობის დამატების გარეშე, სიჩქარისა და შესვენების დროების ცვლილების ხარჯზე, ხდება 700 მეტრამდე გზის მონაკვეთის მომატება, რათა დილას და საღამოს გაიზარდოს გასვლები წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მიმართულებით.

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიმართა N292 სამარშრუტო ხაზზე ინტერვალის შემცირების თხოვნით, თუმცა, პასუხი არ მიუღია და დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა აღნიშნულის განხორციელება, რადგან ხსენებული მარშრუტით სარგებლობს ძალიან ბევრი ადამიანი და შესაბამისად, ამ მარშრუტზე მოძრავი ავტობუსები მთელი დღის განმავლობაში ძალიან გადატვირთულია.

დავით ჯაიანმა აღნიშნა, რომ N292 მარშრუტზე, ტევადობიდან გამომდინარე, მიკროავტობუსის ნაცვლად, დაინიშნა ავტობუსი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს კორექტირებაზე.

ირაკლი ხელაძემ აღნიშნა, რომ თბილისში უკვე გადაადგილდებიან 18 მეტრიანი ავტობუსები და დაინტერესდა, რა გავლენას ახდენს აღნიშნული განტვირთვის ან თუნდაც, საცობების თვალსაზრისით, რა მხრივაც, ბოლო დროს, შეინიშნება მდგომარეობის გაუმჯობესება.

დავით ჯაიანმა განმარტა, რომ 18 მეტრიანი ავტობუსი პირველად გაეშვა N302 მარშრუტზე, ხოლო მომავალი თვიდან გაეშვება კიდევ რამდენიმე მარშრუტზე, მათ შორის, N314-ზე, რომელიც მოემსახურება დიდი დიღმის მიმართულებას, რის შედეგადაც არის განტვირთვის მოხსნის მოლოდინი. სამსახური ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ მგზავრთნაკადიდან გამომდინარე, ყველაზე დატვირთული მარშრუტები ჩანაცვლდეს 18 მეტრიანი ავტობუსებით და გამოთავისუფლებული ავტობუსები დაემატოს სხვა მარშრუტებს იგივე პრინციპით. საბოლოო ჯამში, წარმატებული ხაზები უზრუნველყოფს იმას, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი ისარგებლებს საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ასევე, ისაუბრა საცობების კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ეს ვერ იქნება მხოლოდ 18 მეტრიანი ავტობუსების ერთი მიმართულებით მოძრაობის დამსახურება, ეს არის კომპლექსური საკითხი და მასზე ზეგავლენა მოახდინა გარკვეულ საათებში სატვირთო ავტომობილების გადაადგილების შეზღუდვამ, წერეთლის გამზირის გახსნამ და სატრანსპორტო კუთხით განხორციელებმა სხვა ქმედებებმა.

ვლადიმერ ბოჟაძე დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ჭავჭავაძის გამზირი-უნივერსიტეტის ქუჩის მიმართულებით 18 მეტრიანი ავტობუსის დანიშვნა იქიდან გამომდინარე, რომ ამ მიმართულებით სარგებლობს უამრავი სტუდენტი და ასევე, დაინტერესდა, რა იგეგმება გამოთავისუფლებული ავტობუსების კუთხით, კერძოდ, ისინი მხოლოდ არსებულ მარშრუტებს დაემატება თუ დაინიშნება ახალი მარშრუტები.

დავით ჯაიანმა განმარტა, რომ მომავალ კვირაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, N301 მარშრუტზე, გაეშვება 18 მეტრიანი ავტობუსი, რომელიც იმოძრავებს გაბრიელ სალოსის ქუჩის მიმართულებით. რაც შეეხება გამოთავისუფლებულ ავტობუსებს, როდესაც დღეს არსებული ყველა 18 მეტრიანი ავტობუსი გავა მარშრუტზე, ისინი დაემატება უკვე არსებულ მარშრუტებს, მგზავრთნაკადის გათვალისწინებით და ამ ეტაპზე ასე გაგრძელდება. ხოლო, როდესაც 160-ვე ავტობუსი შემოვა და გადანაწილდება წინასწარ განსაზღვრულ ათ დერეფანზე და დაფარავს ამ სატრანზიტო ხაზებს, შესაძლებელი იქნება ხაზების შეცვლა ან დამატება, თუმცა, ეს შესაძლებელი იქნება წლის ბოლოს, როდესაც ყველა 18 მეტრიანი ავტობუსი იქნება ადგილზე.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ძალიან კარგია 18 მეტრიანი ავტობუსები რომ შემოვიდა და გაეშვა ექსპლოატაციაში და ისურვა, რომ დეპოც შენდებოდეს იმედისმომცემი ტემპით. აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებს არ ჰქონიათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ კომპანია „რამბოლის“ მიერ შემუშავებული თბილისის სატრანსპორტო გეგმის განხილვაში და განაცხადა, რომ კარგი იქნება, საკრებულოში მოეწყოს მისი განხილვა, რადგან ამ დოკუმენტში არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები. აქვე აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია საცობების პრობლემის მოგვარებაზე, უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს აქვს სწორი პოლიტიკა, თუმცა, ამ საკითხის გადაჭრისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია ურბანული პოლიტიკა, რომელიც სატრანსპორტო კუთხით მიღებული სწორი გადაწყვეტილებების საპირისპიროა.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ კომპანია „რამბოლის“ კვლევები შემოტანილი და განხილული უნდა იქნას საკრებულოში, რათა მოხდეს მოსაზრებების გაცვლა, თუ რა შეიძლება გაკეთდეს დამატებით ან განხორციელდეს გარკვეული კორექტირება იქიდან გამომდინარე, რომ დოკუმენტი ეყრდნობა 2016 წლის მონაცემებს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, ავტობუსის ზოლში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გარდა, დასაშვები ხდება M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსის მოძრაობა იმ შემთხვევაში, თუ მასზე განთავსებული იქნება შესაბამისი მანიშნებლები, რომლებიც მიუთითებს, რომ მას გადაჰყავს ბავშვები. ამასთანავე, პროექტი ითვალისწინებს ტექნიკური ინსპექტირების წარმატებით გავლის დამატებით დოკუმენტაციას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/ და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს დედაქალაქში N_3 და N_2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებზე შეზღუდვებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას, რომელსაც ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო მიიღებს ინფორმაციის სახით. შესაბამის ბაზაში შეყვანილი იქნება ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებული სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მოწოდებული იქნება სხვადასხვა უწყებებიდან და მათზე არ განხორციელდება სანქციები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ დედაქალაქის მასშტაბით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით მონიტორინგს ახორციელებს ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო. წარმოდგენილი ცვლილებით სააგენტოს თანამშრომლებს, რომლებიც ახორციელებენ მონიტორინგს, ექნებათ შესაბამისი უნიფორმები. ასევე, ინფრასტრუქტურის სამსახური თავად განახორციელებს მონიტორინგს მის მიერ განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებით და მათი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, პროცესში ჩაერთვება ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.

სალომე კობალაძე დაინტერესდა, იქნება თუ არა შესაძლებელი, განვიხილოთ ჯარიმების დიფერენცირენცირების საშუალება, რადგან, მართალია აუცილებელია დაჯარიმება, მაგრამ დღევანდელ რეალობაში, როდესაც სერიოზული პრობლემაა საპარკინგე ადგილების რაოდენობა, ისეთი მცირედი გადაცდომისას, როგორიც არის ის, რომ მანქანის საბურავი ოდნავ არის გადასული პარკირების ხაზის გარეთ და მძღოლს ჩართული აქვს ზონალური პარკირება, 50 ლარით დაჯარიმება იწვევს ძალიან დიდ უკმაყოფილებას. სალომე კობალაძემ ისაუბრა ფრაქციის ინიციატივაზე, რომელიც ჰქონდა მარტივი გასაჩივრების აპლიკაციასთან დაკავშირებით, რაც ყველას მხრიდან იყო მოწონებული და ამასთანავე, იყო დაპირებაც, რომ ამ მიმართულებით დაიწყებოდა მუშაობა და დაინტერესდა არის თუ არა რაიმე წინსვლა ამ კუთხით და ასევე, დაინტერესდა, ჯარიმებიდან ბიუჯეტში შესული 18000000 ლარის ათვისება მოხდა თუ არა პარკირების კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

ვასილ აბულაძემ განაცხადა, რომ დაჯარიმება აუცილებლობას არ წარმოადგენს, სამართალდარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს კანონის შესაბამისად ევალება ქმედების განხორციელება და თუ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, სამართალდარღვევა ითვალისწინებს სახდელის დადებას, უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოახდინოს რეაგირება. პარკირების ზოლის მცირედით გადაკვეთასთან დაკავშირებით განმარტა, რომ შესაძლებელია ასეთი გადაკვეთა იყოს შშმ პირისთვის განკუთვნილ პარკირების ადგილას ან შესასვლელში, რაც შეაფერხებს სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობას, მაგრამ თუ დაჯარიმებული პირი თვლის, რომ მის მიმართ გამოყენებული ქმედება არ იყო სამართლიანი, უფლებამოსილია გაასაჩივროს შესაბამისი აქტი, რომელსაც განიხილავს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო და დაადგენს, დასაშვები იყო თუ არა, რომ კონკრეტულ სამართალდარღვევაზე არ დადებულიყო სახდელი. რაც შეეხება ჯარიმებიდან ბიუჯეტში შესულ თანხას, განმარტა, რომ ფინანსთა მინისტრის ბრძანების თანახმად, დაყოფილია სახაზინო კოდები და ყველა თანხა მიემართება ბიუჯეტში, ხოლო შემდეგ ხდება გადანაწილება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან კანდელაკიშვილმა და განმარტა, რომ წესი უნდა ამოქმედებულიყო 2024 წლის პირველი იანვრიდან, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული სფერო მოიცავს ძალიან ბევრ დასაქმებულ პირს და ლოკაციას, მიზანშეწონილია დადგენილების ამოქმედების ვადის გადაწევა 2025 წლის პირველ იანვრამდე, რათა ამ სფეროში დასაქმებულმა პირებმა შეძლონ საქმიანობისთვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწესრიგება და წესით დადგენილ მოთხოვნებთან მორგება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის“ დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა და აღნიშნა, რომ რამდენიმე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის რეკომენდაცია იყო, რომ გენდერულ საბჭოს მუშაობა დაეწყო მსგავს დოკუმენტზე და დღეს წარმოდგენილი დოკუმენტი, რომლის ავტორი არის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო, დამუშავებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხელშეწყობით. აქვე აღნიშნა, რომ მსგავსი დოკუმენტი მიღებული აქვს ჯამში

თექვსმეტ საჯარო უწყებას და თბილისი იქნება პირველი თვითმმართველი ერთეული, რომელიც მიიღებს ამ დოკუმენტს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაზარალებულებს. კერძოდ, კომისიის გადაწყვეტილებით, სააგენტოს დაევალა ბინების გადაცემა ოცი კონკრეტული პირისთვის და აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე წარმოდგენილია თხუთმეტი მოქალაქისთვის ჯამში 1473 კვ.მ. ფართის გადაცემა, ხოლო დანარჩენ ხუთ ოჯახს ბინები გადაეცემა უახლოეს მომავალში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში მდებარე 35.10 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083.01.083) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 35 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა N28-ში არსებული 16.60 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.072) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 16 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, გალაკტიონის ქუჩა N3-5-ში არსებული 15.26 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.004.02.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 15 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1985 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა N25-ში არსებული 18.87 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.01.081.006.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 18 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1982 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-10 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.013.01.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 50 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 25 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა N76-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.03.003.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 149 კვ.მ. ფართის გადაცემა ხუთი ოჯახისთვის, რომლებიც 1991 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქალაქ თბილისში, დავით გამრეკელის ქუჩის I შესახვევი N6-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.14.031.021) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, გამრეკელის ქუჩა, I შეს. N6-ში გამოცხადებული იყო ტენდერი, სადაც ოთხსართულიანი ავარიული კორპუსის ნაცვლად, უნდა აშენდეს რვასართულიანი ახალი კორპუსი. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ უკვე დაიწყო დემონტაჟის სამუშაოები და ამ ეტაპზე წარმოდგენილია საკითხი, რომ კომპანიისთვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდეს განშლის შედეგად მიღებული ფართებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

21. „ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.003.01.529) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 37 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 20 წელზე მეტია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.135 და N01.19.20.020.069) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 256 კვ.მ. ფართის გადაცემა ოთხი ოჯახისთვის, რომლებიც 2010-12 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თაავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის N22.950.1016 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 68 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ-ში არსებული 47.99 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 47 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1999 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

25. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N120-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.072.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 25 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

26. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 28.85 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.074.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 28 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

27. „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუსი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.004.005.01.119) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 85 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

28. „ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების გასასვლელი N3-ში (საკადასტრო კოდები: N01.18.04.011.045.02.501 და N01.18.04.011.045.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ

წარმოდგენილია 57 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

29. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028) არსებულ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N649 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორება, კერძოდ, ატვირთული იყო სხვა ტიპის ხელშეკრულება და ხდება ამ ცდომილების შესწორება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

30. „ქ.თბილისში, ც.დადიანის N39-ის მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. N01.16.02.001.012) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გუბაზისთვის“ (ს/ნ. 202898123) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 288 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

31. „ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.14.011.190) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იუპიტერი 23“-ისთვის (ს/ნ. 426130386) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 2027 წლის 19 დეკემბრამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 3360 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9685 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.009.237) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მონაცვლეობის საკითხი, კერძოდ, ამხანაგობა „შატილიონის“ საკუთრებაშია ნუცუბიძის ფერდობზე, I მ/რ-ში, მდებარე კორპ.N9, სადაც არსებული ფუნქციური ზონის ფარგლებში, შესაძლებელია ტერიტორიის განვითარება, თუმცა, მოსახლეობის თხოვნით და ფაქტობრივი რელიეფის გათვალისწინებით, მიღებული იქნა მონაცვლეობის შესახებ გადაწყვეტილება და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია პროექტი, რომლის ფარგლებშიც, ამხანაგობას, საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სანაცვლოდ, გადაეცემა ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი. აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულება არის 3900000 ლარი, ხოლო ამხანაგობის ქონების ღირებულება 2800000 ლარი და ფასთა შორის სხვაობას ამხანაგობა გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვის ვადაში.

საბა ბუაძემ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსირა პოზიცია, რომ მისთვის გაუგებარია რატომ უნდა გააკეთოს მუნიციპალიტეტმა ეს მონაცვლეობა და რატომ უნდა იზარალოს მუნიციპალური ქონება და შესაბამისად თანხა, ისეთი ტიპის ნებართვაში, სადაც გაპი არის გაცემული. მისი თქმით, ამ შემთხვევაში აპელირება არის იმაზე, რომ თითქოს პრობლემური რელიეფია და არსებობს გარკვეული გეოლოგიური საფრთხეები, რომელთა შეფასება უნდა გაკეთებულიყო გაპის გაცემის ეტაპზე და შესაბამისად, სრულად მიწის მესაკუთრის პასუხისმგებლობაა მოიპოვებდა თუ ვერა გეოლოგიურ დასკვნას და თუ ვერ მოიპოვებდა, ვერც მშენებლობას განახორციელებდა. აქედან გამომდინარე, გაუგებარია რატომ უნდა შეეხიდოს მუნიციპალიტეტი ამ ამხანაგობის უკან მდგომ ინვესტორებს თუ არა კონკრეტული პოლიტიკური ნება. მისთვის გასაგებია ის, რომ მოსახლეობას შესაძლებელია არ უნდოდეს იმ ტერიტორიაზე მშენებლობა და ასეთი ადგილი ბევრია ქალაქში, მაგრამ არსებობს ლეგიტიმური და არალეგიტიმური საფუძვლით მშენებლობის არგანხორციელების მოთხოვნა. ამ შემთხვევაში არ არსებობს არანაირი ლეგიტიმური მოთხოვნა და არსებობს მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული ინტერესი იქიდან გამომდინარე, რომ ამხანაგობას არ უნდა ამ ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა რისკებში შესვლა და მშენებლობის წარმოება. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაცილებით უფრო პრობლემურ რელიეფებზე მიმდინარეობს ინტენსიური მშენებლობა და აქედან გამომდინარე, არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ აქ რაიმე პრობლემაა გეოლოგიური საფრთხეების კუთხით, უბრალოდ არ არსებობს და ეს ხდება კონკრეტული ინტერესიდან გამომდინარე.

ირაკლი ხელაძემ აღნიშნა, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი აკმაყოფილებდა მშენებლობის პარამეტრებს და შესაბამისად, გაპ-ის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობდა. ამ შემთხვევაში გეოლოგიურ კვლევაზე მეტად ხელისშემშლელია მოსახლეობის განწყობა და ამ ტერიტორიაზე სამშენებლო აქტივობების განხორციელება, რადგან არის უკვე არსებულ კორპუსებთან სიახლოვის პრობლემა.

საბა ბუაძე დაინტერესდა, თუ გაპ-ზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს და ამ კომპანიას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ წარმოადგინოს კვალიფიციური და ვალიდური გეოლოგიური დასკვნა, მაშინ ჩნდება კითხვა, რატომ გამოიჩინა თბილისის მერიამ ინიციატივა, რომ განახორციელოს მონაცვლეობა?

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ამ ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელება კანონმდებლობით შესაძლებელია, თუმცა, თბილისის მერიის მხრიდან გადაწყვეტილების მიღება მოხდა მიზანშეწონილობიდან და მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ მოსახლეობის აზრის გათვალისწინება ხდება არა უნივერსალურად, არამედ შერჩევითად, რაც მას აფიქრებინებს იმას, რომ აქ რაღაც სხვა პრობლემაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონაცვლეობა განხორციელდება ევგენი მიქელაძის ქუჩაზე, სადაც მშენებლობა სერიოზული პრობლემაა და ასეთი არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ზოგადად, მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცვლეობის შემთხვევების ნაწილი გამოწვეულია იმით, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ ამა თუ იმ ტერიტორიაზე გაუარესდა ფუნქციური ზონის სტატუსი და თბილისის მერია არ აბრუნებს ძველ ზონას, ხოლო ნაწილი გამოწვეულია სწორედ მოსახლეობის თხოვნით.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ მისი აზრით, აპელირება არ უნდა გაკეთდეს არასწორ საფუძვლებზე - თუ ვამბობთ, რომ ამ მონაცვლეობის განხორციელების ერთადერთი საფუძველი არის ის, რომ მოსახლეობას არ უნდა იქ მშენებლობა, მაშინ, თბილისის მერიამ აღნიშნული კრიტერიუმით სხვა ტერიტორიებზეც უნდა მიიღოს ანალოგიური გადაწყვეტილება. ხოლო, თუ ფაქტორი არის ის, რომ ამ ტერიტორიაზე არსებობს რაიმე ტიპის გეოლოგიური საფრთხე, მაშინ საფრთხის არსებობა უნდა დადასტურდეს დოკუმენტურად და თუ ინვესტორი ვერ წარმოადგენს გეოლოგიურ დასკვნას, მაშინ ვერც მშენებლობას განახორციელებს, რაც სრულად მისი პასუხისმგებლობაა და ამაში მუნიციპალიტეტმა არ უნდა გადაიხადოს ფული. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ არსებობს ფაქტორები, რის გამოც რაღაც საერთოდ არ შენდება და, მათ შორის, ერთ-ერთი არის საკანონმდებლო შეზღუდვა და დაინტერესდა, თუ ამ ტერიტორიაზე მშენებლობა არ უნდა განხორციელებულიყო, რატომ გასცა მერიამ გაპი?

გიორგი ტყემალაძე დაინტერესდა, მოსახლეობის პროტესტის გარდა, არის თუ არა რაიმე სხვა მიზეზი, რომ იქ მშენებლობა ვერ განხორციელდება, მათ შორის, გეოლოგიური დასკვნის ვერ წარმოდგენა ან რაიმე მსგავსი.

ირაკლი თავართქილაძემ უპასუხა გიორგი ტყემალაძის მიერ დასმულ კითხვას და აღნიშნა, რომ მშენებლობა არ ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნით, სხვა მიზეზი არ არსებობს.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში, ვინაიდან არ არსებობს ისეთი ფაქტორები, რომ რაიმეს ვერ აკეთებს ან ვერ აკმაყოფილებს კერძო მესაკუთრე, თავად გადაწყვეტილებას მიიღებს მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე და აქვე აღნიშნა, რომ მისი აზრით, ამ ტერიტორიაზე თავიდანვე უნდა ყოფილიყო მშენებლობის შეზღუდვა.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ თბილისის მერიას არაერთხელ მოუნაცვლებია ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც გაცემული იყო გაპი, სამშენებლო ნებართვა და დაწყებული იყო მშენებლობა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში არის ისეთი რეალობა, რომ თუ არ განხორციელდება მონაცვლეობა, ინვესტორი ამ ტერიტორიაზე დაიწყებს მშენებლობას, რაც არ არის მიზანშეწონილი.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ არავის ეგონოს, თითქოს ამ მშენებლობის განხორციელების მომხრეა, უბრალოდ, ითხოვს პასუხისმგებელი პირის გამოკვეთას იმაზე, რაც მუნიციპალიტეტს უჯდება ძალიან დიდი ქონება და ფული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „ქ.თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2023 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო ორი საკითხი ეხება „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარედ არსებული სამი მიწის ნაკვეთის მონაცვლეობას, რომლებზეც განთავსებულია ბენზინგასამართი სადგურები. ამ შემთხვევაში, შპს „ლუკოილს“, საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტი გადასცემს მინდელის ხიდის მიმდებარედ არსებულ 2023 კვ.მ. მიწის ნაკვეთს. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასების თანახმად, შპს-ს ქონების ღირებულება შეადგენს 2547000 ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის - 1883000 ლარს და ფასთა შორის სხვაობას მუნიციპალიტეტი დაფარავს 6 თვის ვადაში, თანხის გადახდით ან მიწის ნაკვეთის გადაცემით.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ შეფასების დროს, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დაეყრდნო კომპანიების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას გაყიდვების შესახებ და დაინტერესდა, ასე ცალსახად რატომ ენდობა თბილისის მერია ამ კომპანიების მიერ ფურცელზე დაწერილ ინფორმაციას.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ეს ციფრები არის წინა წლების მაჩვენებელი, რისი გადამოწმებაც მარტივად შესაძლებელია სადაგასახადო ანგარიშგებებით, რაზე წვდომაც აქვს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

34. „ქ.თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა N21-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2402 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.01.004.151) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში, „გალფის“ ქონება შეფასდა 2462000 ლარად, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ბალანჩინის ქ.N21-ის მიმდებარედ - 2236000 ლარად და ფასთა შორის სხვაობას მუნიციპალიტეტი დაფარავს 6 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

35. „ქ.თბილისში, სოფელ ლისსში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 13467 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.16.094.010) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში, „ვისოლ ჯგუფის“ ქონება შეფასდა 2180000 ლარად, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 13000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისში - 3200000 ლარად და ფასთა შორის სხვაობას გადაიხდის კომპანია, ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ნინო ადუაშვილს (პ/ნ. 01027028448) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნინო ადუაშვილის (პ/ნ. 01027028448) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ. განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება ვარკეთილის პროექტს, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტმა ავარიული და დანგრეული შენობებიდან გამოსულ მოსახლეობას გადასცა ბინები და აღნიშნა, რომ იმ ქონებას, რომელიც ერთ-ერთ პირს უნდა დაეთმო მუნიციპალიტეტისთვის ედო იპოთეკა, რის გამოც რვა დღით დაირღვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა. აქედან გამომდინარე, მოქალაქეს დაეკისრა პირგასამტეხლო თითოეულ დღეზე 100 ლარის ოდენობით, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ პროექტი არის სოციალური, მიზანშეწონილია მისი გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ნონა ფიცხელაურს (პ/ნ. 44001001023) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნონა ფიცხელაურის (პ/ნ. 44001001023) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის წინა პროექტის

ანალოგიური. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა მოხდა ორი დღით და შესაბამისად, წარმოდგენილია მოქალაქის გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან, რომელიც შეადგენს 200 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

38. „2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქ.თბილისში, ო.კაპანაძის ქუჩა N4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ აუქციონის პირობის თანახმად, მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი იყო 7000 კვ.მ. ფართი თეთრი კარკასის მდგომარეობაში, რომელიც საჭიროა იმ ტერიტორიაზე და მიმდებარე არეალში, როგორც მესაკუთრეების, ასევე, თვითნებურად შეჭრილების დაკმაყოფილებისთვის. მოკვლევის შედეგად, ამ ოჯახებს დაემატა კიდევ ოთხი ოჯახი და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია აუქციონის პირობის ცვლილება, რომლის თანახმადაც დამატებით 425 კვ.მ. ფართი გადმოეცემა მუნიციპალიტეტს ამ ოთხი ოჯახის დაკმაყოფილების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ. 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ. 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ.თბილისში, არჩილ მეფის ქ.N13-15-ის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების პროექტს, რომლის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილდეს სამოცდაექვსი პირი. ფაქტობრივი მდგომარეობით, მშენებლობა თითქმის დასრულებულია და ფართები არსებობს, თუმცა, ვინაიდან რამდენჯერმე მოხდა პროექტის კორექტირება, ორ ოჯახზე განშლის რეგისტრაცია განხორციელდა დაგვიანებით, რის გამოც დაეკისრათ პირგასამტეხლო 186000 ლარის

ოდენობით. იქიდან გამომდინარე, რომ ვადის დარღვევა გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზით, წარმოდგენილია ხსენებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

40. „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით შედეგად დაზარალებულ პირთა უმრავი ქონების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული/განსახორციელებელი სამშენებლო პროექტების ფარგლებში რიგი ღონისძიებების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება კოოპერატიულ პროექტებს, კერძოდ, ხდება წესის დადგენა. აქამდე, მუნიციპალიტეტი, კოოპერატიულ პროექტებში, ინვესტორებს ვალდებულების გრაფაში აყოლებდა შეზღუდვას, რომლის ფარგლებშიც, მათ 70% ფართებზე მიჰყვებოდათ რეგისტრირებული შეზღუდვა, ხოლო დღეს წარმოდგენილი პროექტის თანახმად, შესაძლებელი იქნება აღნიშნული შეზღუდვის მოხსნა იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორის მიერ წარმოდგენილი იქნება საქართველოში რეგისტრირებული ლიცენზირებული ბანკებისგან სრული პროექტის დაფინანსების თანხმობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

41. „შპს „არქი ვარკეთილის“ (ს/ნ. 405247754) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III (ნაკვ. 06/037) (ს/კ. N01.19.20.006.135) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამინის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებები გულისხმობს სიმაღლის რეგულაციებისგან გათავისუფლებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

42. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ისანი თაუერსის“ (ს/ნ. 404614681) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ.N69 (ს/კ. N01.17.13.038.024) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამინის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში განისაზღვრა გასაშუალოვებული კ2 კოეფიციენტი 5.812-ით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

43. „შპს „ქოზი ჰოუმ თბილისის“ (ს/ნ. 406228283) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ (ს/კ.N01.10.07.007.093) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამინის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში წარმოდგენილია ინვესტორისთვის ფინანსური ვალდებულებების ოთხი თვით გადაწევა იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან ნებართვის გაცემა მოხდა დაგვიანებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

44. „მისამართზე - ქ.თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ.N22 (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.373) არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი“-ს (ს/ნ. 405204540) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამინის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ კომპანიამ დააგვიანა ფინანსური ვალდებულების გადახდა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ გადაიხადა ჯარიმა, წარმოდგენილია ვადებულების შესრულებულად ჩათვლა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

45. „ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.004) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ნიუ გრუპ ვაკე“-ს (ს/ნ. 405322155) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ფალიაშვილის ქუჩა N48-ში მდებარე

ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, შპს „ნიუ გრუპ ვაკე"-ს მიმართ გატარდება შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები: მოხდება კ2 კოეფიციენტის გადამეტება 2.5-დან 4.9-მდე; გაუქმდება კ3 გამწვანების კოეფიციენტის მინიმალური პარამეტრის დაცვის ვალდებულება; არქიტექტურული პროექტის შეთანხმება მოხდება ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების წარმოდგენის, სიმაღლის განსაზღვრის რეგულაციების გათვალისწინების და შენობის განთავსების რეგულაციების გარეშე; არ გაითვალისწინება კანონმდებლობით დადგენილი ავტოსადგომების რაოდენობა და მიწის ნაკვეთზე დადგინდება ინდივიდუალური პარამეტრები იქიდან გამომდინარე, რომ ვერ აკმაყოფილებს ზონისთვის მინიჭებულ ნორმატიულ პარამეტრებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 16

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

46. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა N66/N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.016.015, N01.10.14.016.012 ფართობი - 865 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, მიცკევიჩის ქუჩა N66/N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.7-მდე გადამეტებისა და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს დაახლოებით 1040 კვ.მ.-ს მატებას, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს 5 სართულიდან 8 სართულამდე მატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში ჩარიცხავს დაახლოებით 1000000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

47. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის ზემოთ მდებარე

მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.258, ფართობი - 600 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.5-მდე გადამეტებისა და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების საწაცვლოდ, რაც გულისხმობს მიწისზედა სამი სართულის მატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში ჩარიცხავს 307614 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

48. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია 39-ე მუხლში ფორმულის ნორმატიულად გადატანა, რაც აქამდეც გამოიყენებოდა პრაქტიკაში, თუმცა, მნიშვნელოვანია გაიწეროს ნორმატიულად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

49. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032402566-03 (თარიღი: 25.01.2024), N12-0324031231-03 (თარიღი: 31.01.2024), N12-032403895-03 (თარიღი: 07.02.2024), N12-032404092-03 (თარიღი: 09.02.2024), N12-032404639-03 (თარიღი: 15.02.2024) და N12-032404642-03 (თარიღი: 15.02.2024), რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-032402566-03 (თარიღი: 25.01.2024) წერილით წარმოდგენილი „ა" პოზიცია, N12-0324031231-03 (თარიღი: 31.01.2024) წერილით წარმოდგენილი „ა" პოზიცია და N12-032404642-03 (თარიღი: 15.02.2024) წერილით წარმოდგენილი „ე" პოზიცია, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და საკრებულოს კომისიების რეკომენდაციის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

50. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, შუა მინდვრის ქუჩა, N 38ა; N38; N34-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.58.003.002; N72.16.28.131; N01.72.58.003.001;N72.16.28.126) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 8800 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია ათი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, არსებული ფუნქციური ზონის - საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

51. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N65, N69;ჭრელაშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, უჯარმის II შესახვევი, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.13.038.059; N01.17.13.038.009; N01.17.13.038.050) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 35000 კვ.მ., სადაც, განხორციელდა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადანაწილება გაერთიანებულ და ახალ მიღებულ საკადასტრო ერთეულზე და აქედან გამომდინარე, გეგმარებითი დავალება ითვალისწინებს აღნიშნული კოეფიციენტით განვითარებას, კერძოდ, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ოთხი შენობა-ნაგებობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 36 სართულით.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ეს პროექტი არის „დანაშაული ამ ქალაქის წინაშე“, რადგან ასეთი მოცულობის მშენებლობის განხორციელება სატრანსპორტო რისკების გააზრების გარეშე, სერიოზული პრობლემაა და გარდა ამისა, პროექტი სრულიად ამოვარდნილია იქ არსებული განაშენიანებიდან. აქვე აღნიშნა, რომ ამ უზარმაზარ მშენებლობას ახორციელებს „ვისოლ ჯგუფი“, რომელიც ყოველთვის ძალიან დიდი კეთილგანწყობით სარგებლობს თბილისის მერიის მხრიდან და დედაქალაქის მერისგან, რითიც დასტურდება ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელიც არსებობს ასეთი პროექტების მიმართ, თუმცა, ეს ინტერესი გამოწვეულია არა ქალაქის კეთილდღეობიდან, არამედ, პერსონალური, კორუფციული ინტერესიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

52. „ქალაქ თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.072) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების

რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 7600 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ერთი შენობა-ნაგებობა, რომლის მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 27 სართულით. აქვე აღნიშნა, რომ კომპლექსის 75% დაეთმობა კომერციულ, ხოლო 25% საცხოვრებელ ფუნქციას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

53. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N113-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.09.009.006; N01.18.09.009.005) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 14000 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის, საცხოვრებელი ზონა 5-ის და სატყეო ზონის პარამეტრებით, განთავსდება ორი ბლოკისგან შემდგარი მრავალფუნქციური კომპლექსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

54. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.402) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 54000, სადაც, სპეციალური ზონა 1-ისა და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება შვიდი სასაწყობე შენობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

55. „ქალაქ თბილისში, ჩოჩუას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.10.002.294; N01.17.10.002.278; N01.17.10.002.276) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი

დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, გადაჭარბებული კ2 კოეფიციენტით - 4.6-ით, განთავსდება ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

56. „ქალაქ თბილისში, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.015.042; N01.17.12.015.043) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 29000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება სამი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

57. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N9; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/018), (ნაკვეთი 08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.045; N01.14.16.008.018; N01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 11000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 5 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

58. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქ თბილისში, ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზირი, N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.013.926; N01.72.14.009.657; N01.10.05.042.012) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საავტომობილო მომსახურების ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 5000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება საავტომობილო მომსახურების ცენტრი, ავტოსერვისი და საწყობი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

59. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.905) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 99000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, სამრეწველო ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება სასაწყობე და მცირე საოფისე შენობა-ნაგებობების კომლექსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

60. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, N1, N1ა, N1გ; N1დ; N1ბ; N1ე; ქალაქი თბილისი, თვალჭრელიძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.18.008.032, N01.19.18.008.029, N01.19.18.008.030, N01.19.18.008.027, N01.19.18.008.033, N01.19.18.008.031, N01.19.18.008.034, N01.19.18.008.047, N01.19.18.008.051) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 46000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ისა და საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება ექვსი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

61. „ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი, თავდაცვის სამინისტროს IV ბრიგადის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.10.008.066, N01.17.10.008.065) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 სექტემბრის N238 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 99000 კვ.მ. კორექტირებით იცვლება სექტორებში გადანაწილება, კონფიგურაციები და შენობების სართულიანობა, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

62. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.17.947) სასწავლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N384 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია კ1 კოეფიციენტის ზრდა 0.3-მდე, ბაღის ფლიგელის მშენებლობის რიგითობის ცვლილება და ასევე, შესაძლებელი ხდება სკოლისთვის ღობის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

63. „ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, თვალჭრელიძის ქ.N2-ში არსებულ N009/023 მიწის ნაკვეთზე სავაჭრო კომპლექსის ასაშენებლად მომზადებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 30 იანვრის N01/211 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 208000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია 18000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ამორიცხვა სექტორ II-დან, რომლის ფართია 107000 კვ.მ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

64. „ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (N01.17.14.003.571; N01.17.14.003.187) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N587 განკარგულებით დამტკიცებული

განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტერიტორიის საერთო ფართია 14000 კვ.მ., სადაც ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში განხორციელდა კ2 კოეფიციენტის მატება 2.5-დან 3.1-მდე და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი კორექტირებით, შენობის სართულიანობა იზრდება ერთი სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

65. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლისა და გულიას ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური- საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ. კორექტირებით იცვლება ფუნქციური გადანაწილება სექტორ I-ში, სადაც ზუსტდება კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი და პროცენტული წილი, კერძოდ, საცხოვრებელ ფუნქციას 70%-ის ნაცვლად დაეთმობა 85%, ხოლო კომერციულ ფუნქციას 30%-ის ნაცვლად დაეთმობა 15%.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

66. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2023 წლის 6 თვის (01.07.2023-31.12.2023) მუშაობის ანგარიში“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2023 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

67. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, არჩილ ქურდიანის ქუჩისთვის არქიტექტორების არჩილ და გია ქურდიანების სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

68. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გოჩა მაჩაიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

69. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, დისევის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ერთი ჩიხისთვის და ლუბლიანას ქუჩის მონაკვეთისთვის ბავშვთა ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი ჟვანიას სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

70. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

71. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის III შესახვევისთვის, გუჯარეთის II ქუჩისთვის, მელაანის I და II ჩიხისთვის პოლიტიკური მოღვაწის, რაჟდენ არსენიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

72. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ-ლილოში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიაზე, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

73. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, რევაზ მამისაშვილის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის რევაზ მამისაშვილის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

74. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თმოგვის მეორე გასასვლელისთვის, ახალგორის ქუჩისთვის და ქართლის II შესახვევისთვის ახალგორის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

75. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შანდორ პეტეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის შანდორ პეტეფის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

76. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

77. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, იულია ფაილოძის ქუჩასთან მდებარე ოთხი უსახელო ჩიხისთვის იულია ფაილოძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 12 დადგენილება და 63 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი